პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი ოთხშაბათი 2 აპრილი № 77 (17720) ფასი 2 კაპ.

შთაგვაგონებს, ძალას, ენერგიას გვმატებს

საქართველოს მშრომელები გულთბილად ულოცავენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს საბჭოთა ჯილდოს

სამაგიდო წიგნები

ქუთაისელმა ავტომშენებლებმა, ისევე როგორც საქართველოს და საერთოდ, მთელი საბჭოეთის მშრომელებმა, განუზომელი სიხარულით აღიქვეს ის ფაქტი, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ლ. ი. ბრეჟნევს მოგონებათა წიგნებისათვის „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" ლენინური პრემია მიენიჭა.

მართლაცდა, ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ამ წიგნების დიდი მნიშვნელობა ჩვენი, განსაკუთრებით, პარტიული მუშაკების ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობისათვის. ისინი ხომ ჩვენს უპირველეს სამაგიდო წიგნებად იქცა, რადგან რაგინდ რთული საკითხების გადაწყვეტის ამოცანის წინაშეც უნდა დადგე, ამ წიგნებში მუდამ იპოვი ბრძნულ, დამაჯერებელ და პრაქტიკულ რჩევას. პარტიული მუშაობა, მოგეხსენებათ, შემოქმედებითი მუშაობაა და ამ მხრივ როცა სირთულეების წინაშე დგები, ისევ და ისევ უბრუნდები ლეონიდ ილიას ძის ტრილოგიას. როცა ხელთ გვაქვს ეს წიგნები, ჩვენი დიადი საქმის რწმენა მატულობს და ეს რწმენა ისეთ ძალად იქცევა, როგორც იტყვიან ხოლმე, მთებსაც კი შეძრავს, მშრომელი ადამიანისადმი სიყვარული და პატივისცემა გიორკეცდება. სწორედ ამიტომ გვახარებს ლ. ი. ბრეჟნევისათვის ლენინური პრემიის მინიჭება.

ს. კურტანიძე,
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი.

გმირი დედის სიხარული

ცნობამ იმის შესახებ, რომ თქვენ მაღალი ჯილდო — ლენინური პრემია გადმოგეცათ, მაღალმთიან ქედაში იმავე დღეს ამოაღწია და უდიდესი სიხარული მოგვგვარა. თქვენი ღვაწლი, თქვენი ბრძოლა მშვიდობისათვის იგივე ჩემი ოჯახის ბედნიერებისათვის ბრძოლაა.

მეც ისე ვემსახურები ქვეყანას, როგორც ძალმიძს. თერთმეტი შვილი აღვუზარდე მამულს, მათ კაიკაცობასა და შრომის სიყვარულს ვუნერგავდი. უფროსები გაიზარდნენ და ცხოვრების გზას დაადგნენ, უმცროსები ჯერ კიდევ სკოლაში დადიან.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, კვლავაც, დიდხანს, დიდხანს გელვაწოთ ჩვენი ქვეყნის, მთელი მსოფლიოს საკეთილდღეოდ.

თამარ ბერიძე,
ქედის რაიონის ცხმორისის კოლმეურნეობის კოლმეურნე.

სიბრძნე ცხოვრებისა

უდიდესი სიამაყის გრძნობით ვუყურებდით ჩვენ, ქართველი მწერლები ცენტრალური ტელევიზიით ცერემონიას, რომლის დროსაც მაღალი ჯილდო — ლენინური პრემია გადასცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს მისი წიგნებისათვის „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი". მშვიდობის საკეთილდღეოდ დაუცხრომელი ბრძოლისათვის. მართლაც რომ ღირსეული ჯილდოა! ცხოვრების ამ ბრძნულ სახელმძღვანელოებში თითოეული მკითხველი იპოვის საჭირო რჩევას, ისინი მოგვიწოდებენ ახალი გმირობისათვის ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს საკეთილდღეოდ.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ჩვენი პუბლიცისტების, ლიტერატორების მთავარი ამოცანაა წერონ თანამედროვეობაზე ისე, რომ თავიანთი კალმით შეძლებისდაგვარად დაეხმარონ ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის პრაქტიკულ საქმეს.

ეს შესანიშნავი წიგნები, რომლებსაც სამართლიანად უწოდებენ „მებრძოლ წიგნებს" გვასწავლიან ლენინურად ცხოვრებას, მუშაობასა და ბრძოლას. ტრილოგია ცხოვრების, ადამიანის, სამშობლოს, ყველაზე ნათელი იდეალების შესანიშნავი ჰიმნია.

მოგონებათა გმირების მაგალითები აღაფრთოვანებენ ქართველ მწერლებს. ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მუშაობენ ლეგენდარული მცირე მიწის დამცველები, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები, რომლებმაც სხვებთან ერთად პირველი ხნული გაავლეს ყამირს, ასეთ ადამიანებზე წერდა ლეონიდ ილიას ძე თავის მოგონებებში, მათ უნდა მიბაძოს ჩვენმა ახალგაზრდობამ.

ლ. ი. ბრეჟნევის სიმართლით აღსავსე ნაწარმოებები ყველა ჩვენგანისათვის სამაგიდო წიგნებია. ეს წიგნებია ჩვენი უდიდესი შთაგონების წყარო, მათი მიხედვით ვსწავლობთ, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ადამიანი — მებრძოლი, შემოქმედი, აღმშენებელი. და მილიონობით საბჭოთა ადამიანის მილოცვას შეუერთდეს ქართველი მწერლების ხმა, რომლებიც გულმხურვალედ უსურვებენ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს ახალ წარმატებებს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გ. აბაშიძე,
მწერალი-აკადემიკოსი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე.

მშრომელი კაცის ნებით

ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის ლენინური და სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს ერთსულოვნად მიანიჭა ლენინური პრემია ნაწარმოებებისათვის „მცირე მიწა", „აღორძინება". „ყამირი".

ჩვენი დროის გამოჩენილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწისათვის ამ მაღალი პრემიის გადაცემამ გულით გაგვახარა. მის ნაწარმოებებში ნათლად, მართლაც რომ საქმის ღრმა ცოდნით არის ნაჩვენები ჩვენი წინსვლის ეტაპები და რაც მთავარია, საბჭოთა ადამიანი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა საოცრად მკაფიოდ და ნათლად დაგვანახა, როგორი შემართებით იცავდა საბჭოთა ადამიანი სამშობლოს, როგორ აღადგენდა ომით დაზარალებულ ეკონომიკას და ტეხდა ყამირს.

გულითა და სულით ვულოცავთ ჩვენ საყვარელ ადამიანს მაღალ ჯილდოს, ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ზ. ჩერქეზიშვილი,
საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის" ზეინკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ჩვენს გულისთქმას გამოხატავს

მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის წიგნები „მცირე მიწა", „აღორძინება" და „ყამირი" ჩვენი ცხოვრების ჯეთილი მრჩევლები და დამრიგებლები გახდნენ. ისინი კიდევ უფრო ღრმად გვახედებენ ჩვენი გმირული ცხოვრების ისტორიაში, ნათლად წარმოაჩენენ ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის მშობლიური პარტიისა და ხალხის მიერ გაწეულ უდიდეს მუშაობას.

ჩემთვის, მეწარმეობისათვის, განსაკუთრებით ძვირფასია „ყამირი", რომელშიც დიდი დამაჯერებლობით არის ასახული ჩვენი უმდიდრესი ბედლის შექმნისათვის საერთო-სახალხო ბრძოლა. ამ წიგნში გამოხატულია დიდი სიყვარული უბრალო ადამიანებისადმი, ღრმა რწმენა და გულის სითბო ჩვენდამი — მხვნელ-მთესველებისადმი, რისთვისაც გულითად მადლობას ვუხდით ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ი. ალექსაშვილი,
საგარეჯოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი, სოციალისტური შრომის გმირი.

კონტროლიორები ანგარიშს აბარებენ!

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების მორიგი ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობს.

ანგარიშგება-არჩევნები, რომელიც აპრილსა და მაისში ეწყობა, უაღრესად პასუხსაგები სამუშაო და მნიშვნელოვანი მოვლენაა ამ ნამდვილად მასობრივი ორგანიზაციების ყველა რგოლის ცხოვრებაში. იგი მიმდინარეობს იმ დროს, როცა ქვეყნის სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობებზე, საკოლმეურნეო მინდვრებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში დიდი დაძაბული, შემოქმედებითი და შემართული შრომაა გაჩაღებული სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმისათვის, მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მუშაობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის თებერვლის დადგენილებას სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტი ნამდვილი სახელმძღვანელო, სამოქმედო პროგრამაა საქართველოს სახალხო კონტროლის ორგანოებისათვის — ყველა კომიტეტის, ჯგუფის, საგუშაგოს, თითოეული კონტროლიორისათვის. სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად ამ დოკუმენტში ნათლად არის მოცემული ამოცანები ანგარიშგება-არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მოწყობის უზრუნველსაყოფად. იგი ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო კონტროლის ორგანოს უსახავს შრომის, მოღვაწეობის, მოქმედების სწორსა და ნათელ გზას.

მეათე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის მიჯნების მიღწევისათვის ჩვენი პარტიისა და ხალხის უდიდეს შემოქმედებითს შრომასა და მოღვაწეობაში თავისი ღირსეული წვლილი სახალხო კონტროლის ორგანოებსაც შეაქვთ. უდავოდ დიდია ამ ორგანოთა ნაშრომნამოღვაწარი იმ სახელოვან წარმატებებში, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს წარმატებები კი მართლაც რომ ბევრის მთქმელია. ჩართო ის რად ღირს, რომ წელს საქართველო მეშვიდედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი არ კმაყოფილდებიან მიღწეულითა და მოპოვებულით, დღენიადაგ აძლიერებენ მუშაობას ნეგატიური მოვლენების ძაძლევისა და აღმოფხვრისათვის ბრძოლაში. კონტროლიორები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ სრულდება სახელმწიფო დავალებები, ზემდგომი ორგანოების დადგენილებები, აქტიურად იბრძვიან საწარმოო გეგმების განაღდების საქმეში ხელშემშლელი პირობების აღმოფხვრის, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, მართვის აპარატის სრულყოფისათვის ბრძოლის საქმეში. მათ მიერ მოწყობილი რეიდების, შემოწმებების, დათვალიერებების შედეგად რესპუბლიკაში დიდძალი ელექტროენერგია, სათბობი, ლითონები, თანხები დაიზოგა, მხილებულ იქნა ნაკლოვანებები მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის მომსახურების სფეროს საქმიანობაში. რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებმა მარტო შარშან 8816 საკითხი შეისწავლეს და შეამოწმეს მეურნეობის სხვადასხვა უბანზე. ყოველივე ამის შედეგად გამოვლინებულია 1 604 694 მანეთი გაფლანგვა და დატაცება. მათი მუშაობის ნაყოფია, რომ ბევრგან გამოსწორდა მდგომარეობა, აღმოიფხვრა ნაკლი და ხარვეზი, რამაც მნიშვნელოვანი ეფექტი მოგვცა, ხელი შეუწყო ჩვენს საერთო წინსვლას.

რთული და საპატიო მოვალეობანი რომ წარმატებით შეასრულონ, ჩვენი სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოები წლევანდელ ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში უნდა შეივსონ პრინციპული, განათლებული, სპეტაკი, შრომისმოყვარე, ახლის მაძიებელი ადამიანებით, ისეთებით, რომლებსაც შეუძლიათ მთელი თავიანთი გულმხურვალება, შემოქმედებითი შრომა, სინდისიერება ჩააქსოვონ საკონტროლო მოღვაწეობაში, იყვნენ სამაგალითონი კოლექტივებში, საზოგადოებაში, პირად ცხოვრებაში.

სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები მთელი თავიანთი შრომითა და მოღვაწეობით ნათლად და მკაფიოდ ასახავენ ჩვენი კონტროლის დემოკრატიულ ხასიათს. ახლა ჩვენი რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახალხო კონტროლის 15 ათასზე მეტი ჯგუფი და 19 ათასზე მეტი საგუშაგოა, რომლებშიც 285 ათასზე მეტი კონტროლიორია გაერთიანებული. ეს ნამდვილად რომ უდიდესი ძალაა. მათი აქტიურობა, პრაქტიკული საქმიანობის წარმატება, უწინარეს ყოვლისა, პარტიულ ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები სახალხო კონტროლიორებს თავიანთ უშუალო თანაშემწეებად მიიჩნევენ, წარმართავენ მათ საქმიანობას, მხარს უჭერენ მათგან მომდინარე ინიციატივას, ნამდვილად რომ დიდია შემოწმებათა ქმედითობა, უფრო სწრაფად და ოპერატიულად აღმოიფხვრება ნაკლოვანებანი, ნეგატიური მოვლენები, რომლებიც ხელს გვიშლის შრომაში, მოქმედებაში, წინსვლაში. სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დადებითი გამოცდილება შეიძინეს პარტიის აჭარის საოლქო, თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთის და ჭიათურის საქალაქო კომიტეტებმა, ახალციხის, სიღნაღის, სამტრედიის, თელავის, ჩოხატაურის რაიკომებმა, ბევრმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ. ისინი დღენიადაგ ეძებენ საერთოდ კონტროლისა და კერძოდ კონტროლიორთა მუშაობის გააქტიურების, მათი ქმედითობის ამაღლების ეფექტიან გზებსა და საშუალებებს.

ცხადია, კვლავაც არ უნდა მოვაკლოთ პარტიული, საბჭოთა ორგანოების მზრუნველობა ამ მასობრივ ორგანოებს. ეს ახლა აუცილებელია, რადგან ჯერ კიდევ ყველგან არ მუშაობენ სახალხო კონტროლის ორგანოები ისე, როგორც ამას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოითხოვს. ამ მხრივ საჭიროა ძირეულად გარდაქმნან მუშაობა სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო, ზნაურის, ქარელის, ლანჩხუთის, ლენტეხის, ორჯონიკიძის და სხვა რაიონულმა კომიტეტებმა.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად ადგილებზე კარგა ხანია შედგენილია კრებების განრიგებანი, რომელთა მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების წევრები, საბჭოთა, სამეურნეო, სახალხო კონტროლის ორგანოთა მუშაკები. მათი მოვალეობაა ხელი შეუწყონ ადგილებზე ჯგუფებისა და საგუშაგოების ცხოვრებაში ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კამპანიის წარმატებით ჩატარებას. ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ მშრომელთა კოლექტივების კრებები მიმდინარეობდეს ორგანიზებულად, საქმიანად, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, იმართებოდეს გულახდილი, გულღია საუბარი, ერთმანეთს უნდა გავუზიაროთ, ვურჩიოთ ყოველივე ის, რაც დაგვეხმარება მომავალ მუშაობაში. სახალხო კონტროლიორთა ანგარიშების განხილვაში, კრებებზე გაშლილ საუბრებში, კამათში აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, მათ ამ საქმეში მაგალითი უნდა მისცენ ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ ანგარიშგება-არჩევნები მიმდინარეობდეს სსრ კავშირში სახალხო კონტროლის კანონის მოთხოვნათა მიხედვით.

უაღრესად საპატიო მოვალეობაა იყო სახალხო კონტროლის ძირეული რგოლების — ჯგუფის, საგუშაგოს შემადგენლობაში. ხალხი რომ აგირჩევს, ეს ნიშნავს, რომ შენი გულის მთელი მგზნებარებით, შემართებით, გონიერად და საქმიანად შეასრულო დავალება, იყო სახალხო კონტროლის ნამდვილი წარმომადგენელი, წარმოების ნამდვილი ფხიზელი თვალი.

სახალხო კონტროლის ორგანოთა ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებაში გადამწყვეტი როლი სწორედ პარტიულ ხელმძღვანელობას ეკუთვნის. ამიტომ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანოებმა ყველაფერი უნდა იღონონ იმისათვის, რომ ანგარიშგება-არჩევნები ორგანიზებულად, მოფიქრებულად და მაღალ პოლიტიკურ დონეზე ეწყობოდეს.

მეცნიერები—სოფელს!

ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები მუშაობენ ისეთ აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც არის სუბტროპიკული კულტურებისათვის განკუთვნილი კოლხეთის დაბლობის ათვისება, სპეციფიკურ პირობებში სუბტროპიკული კულტურების მოყვანის ტექნოლოგიის შემუშავება, ყინვაგამძლე და იმუნური ჯიშების ციტრუსების, უხვმოსავლიანი, ხარისხოვანი ჯიშების ჩაის შერჩევისა და გამოყვანისათვის სელექციური მუშაობა და სხვა საკითხები. ქართველმა სელექციონერებმა გამოიყვანეს ახალი ჯიშის ჩაი „კოლხეთი", რომელიც უხვმოსავლიანია, სპეციფიკური სურნელება აქვს.

1979 წლის საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი მაჩვენებლების მიღწევისა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის ინსტიტუტის საცდელ-საწარმოო მეურნეობის კოლექტივი გამარჯვებულად ცნეს და დააჯილდოვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სურათებზე: სელექციის განყოფილების მეცნიერი მუშაკი ცისანა ქაშაყაშვილი. იგი მუშაობს დაავადებათაგან ციტრუსების დაცვის პრობლემაზე; ქვემოთ საცდელ-საწარმოო მეურნეობის სათბურში მიმდინარეობს ციტრუსებისა და ჩაის ნერგების მარგვლა.

ვ. მორგუნოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულებაში („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1968 წ., № 12, მუხ. 192; 1970 წ., № 6, მუხ. 106; 1974 წ., № 6, მუხ. 102) სსრ კავშირის კონსტიტუციიდან და საქართველოს სსრ კონსტიტუციიდან გამომდინარე ცვლილებები და დამატებები და ჩამოყალიბდეს აღნიშნული დებულების ახალი რედაქცია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1980 წლის 28 მარტი.

„კავკასელექტროქსელმშენი": ხუთწლედი შესრულებულია!

საპატიო ნიშნის ორდენოსანი „კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის კოლექტივმა, რომელმაც ფართოდ გაშალა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე ვადამდე შეასრულა სამუშაოთა მოცულობისა და სიმძლავრეთა საექსპლოატაციოდ გადაცემის მეათე ხუთწლედის დავალებანი. შესრულებულია აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დავალება.

კოლექტივმა წარმატებას მიაღწია იმის შედეგად, რომ ფართოდ გაშალა შეჯიბრება, დანერგა შრომის მოწინავე მეთოდები, გააუმჯობესა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ორგანიზაცია და ხარისხი, აამაღლა მათი ეფექტიანობა.

„კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის მშრომელებმა აღუთქვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რომ კვლავაც სრულყოფენ შრომითს საქმიანობას და წარმატებით შეასრულებენ კოლექტივის წინაშე დასახულ ამოცანებს.

(საქინფორმი).

უჭკნობი ნიჭი

სსრ კავშირის სახალხო არტისტის, რეჟისორ დ. ა. ალექსიძის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

დიმიტრი ალექსიძეს 70 წელი შეუსრულდა... სცენის ამ გამოჩენილი ოსტატისათვის რომ მიელოცათ მოსკოვიდან და ლენინგრადიდან, უკრაინიდან და მოლდავეთიდან, აზერბაიჯანიდან და უზბეკეთიდან, სომხეთიდან და ბელორუსიიდან მოვიდნენ მისი ბრწყინვალე ნიჭის მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლები — მსახიობები, რეჟისორები, თეატრმცოდნეები, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სცენური ხელოვნების მოღვაწეები, რომლებიც სსრ კავშირში არიან თეატრის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. ამ საღამოს იგი დამსწრეთა თვალწინ გრიალში გამოვიდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე, სადაც თავისი შემოქმედებითი გზა დაიწყო ხელოვნებაში, სცენაზე, რომელთანაც დაკავშირებულია მისი მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ბრწყინვალე ფურცლები. სიღრმეში მოჩანს რეჟისორის მიერ თბილისის, მოსკოვის, ტაშკენტის, კიევის, ერევნის კიშინიოვის თეატრებში დადგმული სპექტაკლების „რღვევას", „მახტრიონის" „ოიდიპოს მეფის", „პეპოს", „ურიელ აკოსტას", „ხსოვნა გულისას", „ანტიგონეს" აფიშები.

— დროთა განმავლობაში ადამიანები კარგავენ შემოქმედებით უნარს. ძალზე გულსატკენი, აუტანელი იქნებოდა, რომ ცხოვრებაში დროდადრო ამ წესიდან გამონაკლისი არ გვხვდებოდეს, — თქვა საქართველოს კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა საღამოს გახსნისას,— დიმიტრი ალექსიძე სწორედ ასეთი საოცარი გამონაკლისია. სცენური ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიის შესანიშნავი ფურცლები. თავისი მასწავლებლების — კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი. იგი თავისი ნამუშევრებით ცდილობს აქტიურად ჩაერიოს ცხოვრებაში. რეჟისორის სპექტაკლები გამსჭვალულია ჰუმანიზმისა და ოპტიმიზმის პათოსით. თეატრმა ადამიანები სულიერ სილამაზეს დოგმატურად კი არა და დიდაქტიკურად, ასევე აღტაცებისა და განცვიფრების მეშვეობით უნდა აზიაროს, — ეს სიტყვები ზედმიწევნით გამოხატავს ალექსიძის ბუნებას, მის შემოქმედებით კრედოს.

ო. თაქთაქიშვილმა გულთბილად მიულოცა იუბილარს და ჯანმრთელობა, დიდი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

მილოცვებს ბოლო არ უჩანდა. თბილისელი კოლეგები, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი, თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავდნენ ოსტატის სახის განმსაზღვრელ თვისებებს — აქტიურ მოქალაქეობრივ პოზიციას, ახალგაზრდულ ენერგიას, ხელოვნებისათვის თავდადებას.

რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ს. ჭიაურელმა წაიკითხა იუბილარის სახელზე საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მიღებული მისალოცი დეპეშების ტექსტი.

დასასრულ გამოვიდა დ. ალექსიძე, რომელმაც მადლობა გადაიხადა მის მიმართ ნათქვამი გულთბილი სიტყვებისათვის.

— ჩემთვის ამ ამაღელვებელ დღის, — აღნიშნა მან, — არ შემიძლია მშვიდად ვილაპარაკო ხალხის სულიერ ცხოვრებაში თეატრალური ხელოვნების დანიშნულებისა და როლის შესახებ. თეატრი ხალხური სიბრძნის პოეტურობისა და დიადი სიმართლის შენადნობია. სწორედ ასეთი ხელოვნებისკენ ვისწრაფვოდი ჩემს ყოველ დადგმაში.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, გ. ვ. კოლბინი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ო. ე. ჩერქეზია, ს. ე. ხაბეიშვილი, ჟ. ქ. შარტავა.

(საქინფორმი).

ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ

საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ახორციელებს რა დიდი ლენინის ანდერძს, პარტიას ყოველთვის მიაჩნდა და მიაჩნია, რომ სოციალურ ამოცანათა შორის არ არის უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. ხალხის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისათვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის დამაჯერებელი დადასტურება გახდა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია. ჩვენი ცხოვრების ძირითად კანონში იმ მუხლების შეტანა, რომლებითაც გარანტირებულია სახელმწიფოს მიერ ყოველი საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უფლება, შესაძლებელი გახდა ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო სისტემის შექმნისა და მუდმივი განვითარების წყალობით.

ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც პარტია, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხებისადმი, მკაფიოდ გამოვლინდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში. ამ ისტორიულ დოკუმენტში დედაქალაქისა და მთელი რესპუბლიკის კომუნისტების წინაშე მდგომ სხვა დიდმნიშვნელოვან სახალხო-სამეურნეო ამოცანებთან ერთად აისახა მშრომელთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესების საკითხებიც.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის საქმეში ქალაქ თბილისის პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანები განიხილა ამ დღეებში გამართულმა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის VI პლენუმმა.

იმისათვის, რომ დაესახა სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და მათი პარტიულ-ორგანიზაციების საქმიანობის მკაფიო პერსპექტივა, პარტიის საქალაქო კომიტეტმა პლენუმის მომზადებაში ჩააბა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტების, სამეცნიერო და პრაქტიკული მუშაკების ფართო წრე. შეისწავლეს და გააანალიზეს ქალაქის თითქმის ყველა სტაციონარის, მეტი წილი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, პოლიკლინიკებისა და სხვა სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობა. პარტიის საქალაქო კომიტეტში მოეწყო საქმიანი საუბრები ყველა კატეგორიისა და პროფესიის მედიცინის მუშაკთა წარმომადგენლებთან. საქალაქო კომიტეტის წევრებმა გამართეს ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი საუბრები შრომით კოლექტივებში, ისინი ეწვივნენ ბევრ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებას, ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა, რომლის მეოხებით მკაფიოდ გამოიკვეთა საზოგადოებრივი აზრი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. მთელი შეკრებილი მასალა სერიოზული მსჯელობის საგანი გახდა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ნ. ვ. გურგენიძის მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საქართველოს დედაქალაქში არის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების, აფთიაქების, სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განშტოებული ქსელი. წლითიწლობით მტკიცდება ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მარტო მეათე ხუთწლედში მწყობრში ჩადგა ორი პოლიკლინიკა, სასწრაფო დახმარების სადგურის ფილიალი, საქალაქო სანეპიდსადგურის შენობა, რკინიგზის კლინიკური საავადმყოფოს ახალი კორპუსი, რესპუბლიკური ონკოლოგიური ცენტრი. მთავრდება რესპუბლიკური თვალის საავადმყოფოს მშენებლობა, № 1 საქალაქო საავადმყოფოს ნევროლოგიური და სამეანო-გინეკოლოგიური განყოფილებების, ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობათა აგება. გაისად მწყობრში ჩადგება 600-საწოლიანი საბავშვო საავადმყოფო და ახალი სამშობიარო სახლი.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებათა აღჭურვა ახალი სამედიცინო ტექნიკით. მკურნალობის თანამედროვე მეთოდების გამოყენებამ, სამედიცინო სამსახურის სრულყოფამ შესაძლებელი გახადა ინფექციური და პროფესიული დაავადებების, საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევების შემცირება. გამუდმებით იზრდება სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი ასიგნებანი. ხორციელდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, ბუნებისა და გარემოს დაცვის ფართო ღონისძიებანი.

ამ წარმატებათა მიღწევაში თავდადებული შრომა ჩააქსოვეს სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, სამეცნიერო-სამედიცინო დაწესებულებებისა და სამედიცინო სასწავლებლების ექიმებმა, მეცნიერმა მედიკოსებმა, პროვიზორებმა, საშუალო სამედიცინო და ტექნიკურმა პერსონალმა.

მაგრამ, აღინიშნა პლენუმზე, თბილისის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის დარგში შექმნილი ვითარება ვერ დააკმაყოფილებს ვერც მოსახლეობას, ვერც ქალაქის პარტიულ ორგანიზაციას.

პლენუმზე მთელი პრინციპულობით იმსჯელეს მედიცინის მუშაკთა მიერ საექიმო ეთიკისა და მორალის დარღვევის ჯერ კიდევ მრავალრიცხოვანი ფაქტების, ზოგიერთი ექიმისა და საშუალო სამედიცინო

(დასასრული მე-2 გვ.).

ყველაფერი ადამიანის საკეთილდღეოდ

(დასასრული)

პერსონალის წარმომადგენელთა დაბალი პროფესიული დონის შესახებ. ისინი განსაკუთრებით შეუწყნარებელია ეკონომიკაში, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი პოზიტიური ცვლილებების ფონზე, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების პირობებში.

კერძოდ, პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს ასეთ ფაქტს: მიუხედავად იმისა, რომ თბილისში საავადმყოფო საწოლები მეტია, ვიდრე გათვალისწინებულია მილიონიანი ქალაქისათვის ნორმატივით, ბევრ სტაციონარში პალატები გადატვირთულია, ირღვევა სანიტარიული ნორმები. ყოველივე ეს საზოგადოებრიობის სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. საწოლების ფონდის სტრუქტურისა და გამოყენების ანალიზმა ცხადყო, რომ ქალაქის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში მკვეთრადაა დარღვეული დაავადებათა პროფილის მიხედვით საწოლების ნორმატიული თანაფარდობა. მაგალითად, ბევრად მეტია ქირურგიული საწოლი, ვიდრე თერაპიული, მაშინ, როცა პირიქით უნდა იყოს. როგორც ჩანს, ეს იმ წლების გადმონაშთია, როცა სუბიექტური მიდგომა ბატონობდა სალ აზრზე და მეცნიერული მიდგომის ბევრ საკითხში, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის დაგეგმვის საკითხშიც. სხვა ვერაფრით აგვიხსნით იმ მდგომარეობას, რომ თბილისის სტაციონარებში ძალზე ცოტაა კარდიოლოგიური, გასტრო-ენტეროლოგიური, ალერგოლოგიური და სხვა საწოლები.

ამასთან, აღინიშნა პლენუმზე, ზოგიერთი საავადმყოფო გადატვირთულია, მაშინ, როცა ბევრ სამკურნალო დაწესებულებაში საწოლები თავისუფალია.

ამის ერთ-ერთ მიზეზად დაასახელეს ის, რომ დიდი ხნის მანძილზე ქალაქის საავადმყოფოების საწოლების ფონდი უპირატესად იზრდებოდა რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რეკონსტრუქციისა და მშენებლობის ხარჯზე. ამის გამო ამჟამად ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საუწყებო სტაციონარებში თითოეულ საწოლზე მოდის მხოლოდ 3,5 კვ. მ. ფართობი, ნორმა კი 6,5-7 კვ. მ.-ს ითვალისწინებს.

გარკვეული დისპროპორციებია მათი დატვირთვის მხრივაც. კერძოდ, ქალაქის სტაციონარებში ერთი საწოლის დატვირთვა წელიწადში 319 დღეს შეადგენს, რესპუბლიკურ საავადმყოფოებში 290, ხოლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სტაციონარებში — 288 დღეს. საშუალო საკავშირო ნორმა კი 330-340 დღეს ითვალისწინებს.

ამ უბანზე მდგომარეობის გამოსწორების ერთ-ერთ რეზერვად დაასახელეს ქალაქის საავადმყოფო საწოლების ფონდის რაციონალური გამოყენება მისი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად.

პლენუმზე ითქვა, რომ განსაკუთრებით საჭიროა შეიქმნას ჰოსპიტალიზაციის მართვის ერთიანი საქალაქო სადისპეტჩერო ცენტრი. მაგრამ მარტო ასეთი ცენტრის შექმნა, აღინიშნა გამოსვლებში, ვერ გადაჭრის პრობლემის ყველა ასპექტს. სტაციონარებში ავადმყოფების არათანაბარზომიერ განაწილებაზე გავლენას ახდენს ამ დარგის ამბულატორია-პოლიკლინიკების ქსელის არასაკმარისი მუშაობა, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სუსტი კონტროლი გეგმიანი ჰოსპიტალიზაციის საკითხებში. ამ საკითხებმა დიდმნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს როგორც თბილისის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო განყოფილების, ისე პარტიის რაიონული და საქალაქო კომიტეტების შემდგომ საქმიანობაში, რაც აამაღლებს სამედიცინო დახმარების ხარისხსა და ეფექტიანობას.

პოლიკლინიკებისა და ამბულატორიების მუშაობის განუწყვეტელი განვითარება და სრულყოფა ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა. ის გარემოება, რომ ავადმყოფთა 80 პროცენტზე მეტი იწყებს და ამთავრებს მკურნალობას ამბულატორია-პოლიკლინიკაში, თავისთავად მეტყველებს უბნის ექიმის გამოცდილებაზე, ცოდნაზე. იმაზე, თუ რამდენად დროულად მიიღებს იგი საჭირო ზომებს, ბევრად არის დამოკიდებული მკურნალობის ეფექტიანობა. პოლიკლინიკებმა უნდა გასწიონ არა მარტო სამკურნალო, არამედ დიდი პროფილაქტიკური, გამაჯანსაღებელი მუშაობა. მიუხედავად მოსახლეობისათვის პოლიკლინიკური დახმარების ხარისხის გაუმჯობესებისა, ჯანმრთელობის დაცვის ამ დიდმნიშვნელოვანი რგოლის საქმიანობაში ჯერ კიდევ ბევრია არსებითი ნაკლი.

საღღეისო მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს ბევრი პოლიკლინიკის მატერიალური ბაზა, ნაკლებად ინერგება ავადმყოფთა მომსახურების ახალი ფორმები, არასაკმარისია პოლიკლინიკებში მომუშავე ექიმების კვალიფიკაცია.

რა დასამალია, რომ დღეისათვის რესპუბლიკის დედაქალაქში ჯერ კიდევ ბევრია ისეთი პოლიკლინიკა, სადაც ყოვლად უხეირო პირობებია შექმნილი ავადმყოფთა მისაღებად. მეტწილად ერთსა და იმავე კაბინეტში ავადმყოფებს სინჯავენ სხვადასხვა სპეციალობის ექიმები და ამასთან ერთდროულად. ამ ტიპის სამკურნალო დაწესებულებათა უმრავლესობას არ გააჩნია რენტგენის აპარატურა, რაც ხშირად იმით არის გამოწვეული, რომ პოლიკლინიკები საცხოვრებელ სახლებშია მოთავსებული.

პლენუმის მონაწილეებმა სერიოზული პრეტენზიები გამოთქვეს საექიმო-სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მუშაობის გამო. ქალაქის პოლიკლინიკებში შემუშავებული არა აქვთ საავადმყოფო ფურცლების გაცემის აღრიცხვის ერთიანი, მწყობრი სისტემა. მათი გაცემა ხშირად ხდება აღურიცხავად, რეგისტრატურაში გაუტარებლად. ასეთი დარღვევები კი ექიმთა მიერ დანაშაულებრივი აქტის ჩადენის ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის.

პლენუმმა დასახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები. საქმე ეხებოდა იმას, რომ საჭიროა მკაფიო ორგანიზაციულობა მათს მუშაობაში, ავადმყოფების მომსახურების ახალი ფორმების დანერგვა, პოლიკლინიკის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება, მათი მუშაობის პირობების გაუმჯობესება, ვინაიდან იგი დიდ ფიზიკურ და მორალურ ძალებს მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა სამედიცინო დაწესებულებათა საჭიროებებს მეტი ყურადღება მიაქციონ პარტიის რაიკომებმა და რაიაღმასკომებმა, საშეფო დახმარება გაუწიონ პოლიკლინიკებს საწარმო-დაწესებულებებმა, აღინიშნა მათი როლი ახალი პოლიკლინიკური დაწესებულებების მშენებლობაში, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში.

განსაკუთრებული მსჯელობის საგნად პლენუმზე იქცა პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებში სამედიცინო დახმარების კულტურა. დაასახელეს ადამიანებისადმი უსულგულო და ფორმალური დამოკიდებულების, ბიუროკრატიზმის, გამოძალვისა და მექრთამეობის ფაქტები ზოგიერთ ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებასა და სამედიცინო კომისიაში.

პლენუმმა მთავარი ყურადღება მიაპყრო ქალაქის მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს, რაც მშრომელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს.

სერიოზული საუბარი გაიმართა სასწრაფო დახმარების მობილურობაზე, იმ პრობლემებზე, რომელთა ოპერატიულად და ეფექტიანად გადაწყვეტა საგრძნობლად გააუმჯობესებდა თბილისელთა მომსახურებას. ჯერ კიდევ დიდია ბინაზე ექიმების გამოძახების დროს ბრიგადების დაგვიანების შემთხვევათა რიცხვი, რასაც, უთუოდ განაპირობებს სპეციალური ავტომანქანების პარკის სიმცირე, მძღოლთა არასაკმარისი რაოდენობა.

მილიონიან ქალაქს ნორმატივით უნდა ემსახურებოდეს 120 ბრიგადა, სინამდვილეში კი მუშაობს მხოლოდ 91 ბრიგადა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადების მუშაობა განსაკუთრებით ძნელდება ახალმშენებლობათა რაიონებში, საცხოვრებელ მასივებში, რაც კვარტალების, სახლების ნუმერაციის მოუწესრიგებლობით, კვარტალთაშორისი ტერიტორიების ცუდი განათებით არის გამოწვეული. საქალაქო საბჭოს აღმასკომს და, უწინარესად, მასზე დაქვემდებარებულ შესაბამის სამსახურებს სერიოზული მუშაობა და ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება მართებთ ამ საქმეში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

აღინიშნა, რომ სააფთიაქო დაწესებულებათა მუშაობის დონე ვერ აკმაყოფილებს მედიკამენტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ შეფერხებები მოსახლეობის მედიკამენტებით მომარაგებაში მარტოოდენ ობიექტური მიზეზებით არ არის გამოწვეული. ძალიან ხშირად ამის თავიდათავი მიზეზებს, აფთიაქების მუშაკთა უგულისყურობა, ზერელობა და ყოვლად გაუმართლებელი უპასუხისმგებლობაა, რომლებიც დაგვიანებით წარადგენენ ხოლმე საჭირო წამლების რეესტრს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრი ექიმი სცოდავს იმ მხრივ, რომ პაციენტებს უწერენ საჭირო ნორმაზე მეტ წამალს. იშვიათი გამონაკლისი არ არის აგრეთვე ფაქტები, როცა ექიმი გამოწერს ისეთ მედიკამენტებს, რომლებსაც მთავარი სააფთიაქო სამმართველო არ იღებს, ან საერთოდ მოხსნილია წარმოებიდან. ავადმყოფმა კი ამის თაობაზე არაფერი იცის და ისიც აღშფოთებას გამოთქვამს, როცა რეცეპტის მიღებაზე უარს ეუბნებიან.

მკაცრად გააკრიტიკეს ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის ორგანოების საქმიანობა, რომელთა ცალკეული მუშაკები ადგენენ დიდძალი რაოდენობის სხვადასხვა აქტებსა და მითითებებს და ნაკლებად იწევიან ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას, ბოლომდე არ წყვეტენ ცალკეულ პრობლემებს. ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურების მუშაობას აკლია მებრძოლურობა, არაეფექტიანია, საკმარისად არ ითვალისწინებს სრული სანიტარიული წესრიგის უზრუნველყოფას.

მათ დღემდე ვერ მიაღწიეს დედაქალაქში არსებული თითოეული უწყების, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ამაღლებას მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებისათვის.

განსაკუთრებული შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ თბილისის ტერიტორიაზე არსებული მთელი რიგი სამრეწველო, სატრანსპორტო, ენერგეტიკული და სხვა საწარმოები პრაქტიკულად არაფერს აკეთებენ და ეფექტიან ღონისძიებებს არ ახორციელებენ ჰაერის გაჭუჭყიანებისაგან დედაქალაქის დასაცავად.

ამასთან დაკავშირებით პლენუმზე დაასახელეს რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს რკინაბეტონის ნაწარმის, პლასტმასის, შუშის, ფოლად-თუჯსასხმელო ქარხნები, ქარხანა „ელექტროიზოლიტი" და სხვ.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი განვითარების ამოცანები მოითხოვს სამედიცინო კადრების, როგორც ხელმძღვანელი, ისე რიგითი კადრების, როგორც სამედიცინო, ისე საშუალო სამედიცინო და ტექნიკური პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებას. მედიცინის მუშაკების კულტურის მაღალი დონე, მათი განათლება, საზოგადოებრივი შეგნება, იდეური სიმწიფე, პროფესიული მომზადება და ყველაზე ჰუმანური სპეციალობისადმი ერთგულება დიდმნიშვნელოვანი პირობებია, რომლებიც განსაზღვრავენ მოსახლეობის სამედიცინო დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის დონეს, მის ხარისხს, ეფექტიანობას, ავტორიტეტს.

თბილისში არ არის სამედიცინო კადრების ნაკლებობა და მაინც ვაწყდებით სიძნელეებს ჯანმრთელობის დაცვის მთელ რიგ პირველად რგოლებსა და ცალკეულ სპეციალობებში თანამდებობათა დაკომპლექტებისას. სამკურნალო საქმეში ყოველი ნაკლი იწვევს ცალკეული მედიცინის მუშაკისადმი მოსახლეობის ნაწილის უნდობლობას, ძირს უთხრის ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა ავტორიტეტს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიზეზით ქალაქში გავრცელდა კერძო სამკურნალო პრაქტიკა. მართალია საფინანსო ორგანოებში ოფიციალურად აღრიცხულია მხოლოდ 50 ექიმი, რომლებიც კერძო პრაქტიკას ეწევიან, მაგრამ ეს ციფრი სრულებით არ გამოხატავს საქმის რეალურ ვითარებას.

მიგვაჩნია, რომ კერძო პრაქტიკა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ერთ-ერთი სახეობაა. მაგრამ არსებითად, დღეს იგი მეტ წილ შემთხვევაში სამკურნალო პროცესს კი არა, სპეციალისტის კონსულტაციას გულისხმობს. ვინაიდან არ შეიძლება სერიოზულად ვიფიქროთ, რომ, მაგალითად, ექიმ-კარდიოლოგს შეუძლია ოჯახურ პირობებში დასვას იშემიური დაავადების ზუსტი დიაგნოზი ან განსაზღვროს მისი ნიშნები, თუ საჭირო გამოკვლევებს არ განახორციელებს თანამედროვე დიაგნოსტიკური აპარატურის მეშვეობით. ამიტომაც, როგორც წესი, ასეთი ექიმი ავადმყოფს გამოსაკვლევად სტაციონარებსა და პოლიკლინიკებში გზავნის, თუმცა ამის გაკეთება შეიძლებოდა ფასიანი კონსულტაციის გვერდის ავლით.

კერძო პრაქტიკა ექიმის სინდისის საქმეა, მასზე საზოგადოებრიობამ უნდა იმსჯელოს. მაგრამ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვისაც, რომ ადამიანები სრული ნდობით ეკიდებოდნენ საავადმყოფოებსა და პოლიკლინიკებს.

სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს მძიმე მდგომარეობა, რომელიც შექმნილია საშუალო სამედიცინო პერსონალთან დაკავშირებით. მათი მუშაობა ხომ დიდად განსაზღვრავს სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის დონესა და ეფექტიანობას.

პლენუმზე ყველა გამომსვლელს წითელ ხაზად გასდევდა აზრი იმის შესახებ, რომ საჭიროა ამაღლდეს მედიცინის მუშაკთა იდეურ-პოლიტიკური და მორალური დონე, შეისწავლონ და პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ მედიცინის მეცნიერების მოწინავე გამოცდილება და მიღწევები, გაუმჯობესდეს კადრების მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემა.

ამასთან აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გააძლიერონ სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელობა და მათდამი დახმარება, გაღრმავდეს ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების, რაიონების მთავარი ექიმებისა და მათი აპარატების ორგანიზატორული საქმიანობა, ამაღლდეს დეპუტატთა კომისიების, დაწესებულებებთან შექმნილი საზოგადოებრივი საბჭოების მუშაობის ეფექტიანობა.

დიდი როლი ენიჭება სამედიცინო დაწესებულებათა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, მაგრამ, როგორც მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, მათ ჯერ კიდევ არ გარდაუქმნიათ მუშაობა დღევანდელობის ამოცანების შესაბამისად. პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად იყენებენ, ზოგჯერ კი სულაც არ იყენებენ ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის უფლებას, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ. დაბალია მათი როლი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაშიც. მკვეთრად უნდა ამაღლდეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა და მათი ავანგარდული როლი სამედიცინო დაწესებულებების მუშაობაში.

პლენუმზე, მაგალითად, აღინიშნა, რომ თბილისის № 4 სამშობიარო სახლის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ღ. ნანეიშვილი) ამ უკანასკნელ ხანს შეასუსტა თანამშრომელთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ყურადღების ცენტრში არ დააყენა ის პრობლემები, რომლებიც კოლექტივს აღელვებს, და ამან, ცხადია, თავისი უარყოფითი დაღი დაასვა ამ სამედიცინო დაწესებულებაში მტკიცე შრომითი და სახელმწიფო წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლას. ხელმძღვანელობის წაყრუებით და ხელშეწყობით (ყოფილი მთავარი ექიმი — ე. გვანცელაძე, მოადგილე — ჯ. ჩაჩანიძე) სამშობიარო სახლში შეიქმნა ყოვლისპატიების, მამებლობის ატმოსფერო. საგულისხმო ის არის, რომ ასეთი ვითარება დიდხანს გრძელდებოდა, და მხოლოდ მას შემდეგ, როცა მომრავლდა სხვადასხვა ინსტანციებში საგანგაშო სიგნალები, სამშობიარო სახლის საკითხი განიხილა პარტიის კიროვის რაიკომის ბიუროსა და რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიის გაერთიანებულმა სხდომამ. მიღებულ იქნა საჭირო ზომები და განახლდა მისი ხელმძღვანელობა.

ეს და სხვა ფაქტები, რომლებიც პლენუმზე დაასახელეს, მოწმობს, რომ ჯანმრთელობის დაცვის დარგში პოზიტიური ცვლილებების ტალღას ჯერ კიდევ ვერ მიუღწევია მის ყველა რგოლამდე, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო და რაიონული განყოფილებების, მათი ხელმძღვანელებისა და მთელი აპარატის ორგანიზაციული საქმიანობა ვერ უპასუხებს მათ მიმართ წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს.

ამის გათვალისწინებით პლენუმის წინ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მიზანშეწონილად ჩათვალა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის ლ. აბაშიძის სხვა სამუშაოზე გადაყვანა.

თავისი საქმიანობის ხასიათით მედიცინის მუშაკთა შრომა მუდამ იღებს ფართო საზოგადოებრივ რეზონანსს, და ყოველი წარმატება, ისევე როგორც მარცხი, ფართო სოციალურ ჟღერადობას იძენს. მედიცინის მუშაკებმა ყველაფერი უნდა იღონონ, რათა დაიცვან მედიცინის, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურების, ყოველი ექიმის, მედიცინის დის, სანიტრის მაღალი ავტორიტეტი. როგორც ვიცით, ერთი პატარა შეცდომაც კმარა, რომ მედიცინის მუშაკის ავტორიტეტი მკვეთრად დაეცეს. მაშასადამე, არ უნდა დავუშვათ ეს შეცდომები, დროზე აღვკვეთოთ მათი გამომწვევი მიზეზები.

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების პრობლემების კონსტრუქციული გადაჭრა პარტიის საქალაქო კომიტეტისა და მისი ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რომლის მიზანია სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობისა და თბილისის XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელება.

პლენუმმა განიხილა და მოიწონა ანგარიში XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს საქმიანობის შესახებ" და დასახა მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომი ამაღლების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცების გზები.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

პლენუმის განსახილველად ქალაქის მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაუმჯობესების საკითხის გამოტანის გადაწყვეტილება, — თქვა მან, — უწინარეს ყოვლისა, იმან განაპირობა, რომ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა ერთ-ერთი ძირითადი, დიდმნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელიც გამუდმებით დგას ქალაქის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. და ამ სფეროში საქმის მდგომარეობა დიდად განსაზღვრავს როგორც ჩვენს წარმატებებს, ასევე მარცხს.

ექიმის პროფესია ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს. ადამიანის შეგნებაში ექიმის საქმიანობა ოდითგანვე დიდ სიბრძნესა და უზიადო ზნეობრივ სიწმინდეს გულისხმობს. მის კეთილშობილურ საქმიანობას, ცოდნას, თავდადებას, მზადყოფნას გმირობა ჩაიდინოს ავადმყოფის სიცოცხლის გადასარჩენად, მუდამ მადლიერების გრძნობით აღნიშნავენ ადამიანები. მაგრამ ასევე მწვავედ რეაგირებენ ხოლმე შეცდომებზე, დაუდევრობაზე, გულგრილობაზე.

ამიტომაც სავსებით გასაგებია, აღნიშნა ამხ. მენთეშაშვილმა, რომ ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მისამართით კეთილ, გულთბილ სიტყვებთან ერთად პლენუმზე მკვეთრი, მწარე, მაგრამ სავსებით სამართლიანი შენიშვნები მოვისმინეთ. ეს გაკეთდა მხოლოდ ერთი მიზნით: უფრო სრულად, მკაფიოდ გამოვავლინოთ, გავაანალიზოთ ნაკლოვანებანი, ერთობლივი მეცადინეობით, კოლექტიურად დავსახოთ მათი აღმოფხვრის გზები, უფრო სრულად უზრუნველვყოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის ერთ-ერთი ძირითადი დებულების განხორციელება, რომელშიც წერია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ ჯანმრთელობის დაცვის უფლება". ამ უფლებას კი უზრუნველყოფს უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, რომელსაც სახელმწიფო ხალხს უწევს. ჩვენი სახელმწიფო საერთო სახალხო სახელმწიფოა, მაშასადამე, ჩვენი ჯანმრთელობის დაცვაც, მედიცინაც სახალხოა.

დღეს საქართველოს დედაქალაქის მშრომელები, ისევე როგორც მთელი რესპუბლიკა, მთელი საბჭოთა ხალხი, იბრძვიან მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, ემზადებიან, რათა, ღირსეულად აღნიშნონ ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავი, ახალი შრომითი გამარჯვებებით შეხვდნენ სკკპ XXVI ყრილობას და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. ამ საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში აქტიურად მონაწილეობს თბილისის სამედიცინო მუშაკთა მრავალათასიანი რაზმი.

სამედიცინო დახმარება, ექიმის მოღვაწეობა შორს სცილდება ერთი ვიწრო უბნის ფარგლებს. ჩვენს საზოგადოებაში ეს დიდი პოლიტიკური საკითხია. სამედიცინო ფრონტის მუშაკები არა მარტო უნდა ზრუნავდნენ საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის, არამედ კარგ განწყობილებასაც უქმნიდნენ მათ. სწორედ ამ პოზიციებიდან უნდა მიუდგნენ თავიანთ საქმიანობას სამედიცინო მუშაკები. სწორედ ამ პოზიციებიდან აფასებს მედიკოსთა საქმიანობას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი.

ამხ. მენთეშაშვილმა აღნიშნა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში მომხდარი თვისებრივი ცვლილებანი და ხაზი გაუსვა, რომ ეს ჩვენი პარტიის სოციალური პროგრამის განხორციელების, მედიცინის მუშაკთა თავდადებული შრომის შედეგია. მოსახლეობის რიცხვის განუხრელი ზრდის პირობებში მკვეთრად შემცირდა სიკვდილიანობა, გაიზარდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. პრაქტიკულად გაქრა ისეთი საშიში ინფექციური დაავადებანი, როგორიცაა ტიფი, დიფთერია, მალარია და სხვები. ბევრი პენსიონერი, თუმცა კი დამსახურებულად ისვენებს, ამის მიუხედავად სურს და შეუძლია კიდევ იმუშაოს, თავისი წვლილი შეიტანოს ქალაქისა და რესპუბლიკის საერთო წარმატებებში. ეს მნიშვნელოვანწილად ჯანმრთელობის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესების, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის ზრუნვის შედეგია.

მაგრამ, ხაზი გაუსვა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა, ცხოვრების ყველა დარგში მომხდარი მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრების ფონზე, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის დარგში შექმნილი ვითარება ჯერ კიდევ არასახარბიელოა. შეშფოთებას იწვევს ამ საქმეში არსებული სერიოზული პრობლემები და ხარვეზები. ჯერ კიდევ არასაკმაოა სამკურნალო-პროფილაქტიკურ ღონისძიებათა ეფექტიანობა, პროფილაქტიკური შემოწმებანი მთლიანად არ მოიცავენ მოსახლეობის მთელ რიგ კონტინგენტებს. ჯანმრთელობის დაცვის ყველა დაწესებულებაში როდი იცავენ შესაბამის სამკურნალო რეჟიმსა და სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებს.

სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის ჯერ კიდევ დიდი ნაწილი უკმაყოფილოა საავადმყოფოებსა და სხვა სამკურნალო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების დონით. ჯერ კიდევ გვხვდება ექიმების, სამედიცინო დების უხეშობის, უტაქტობის ფაქტები. აფთიაქებში ხშირად არა აქვთ საჭირო წამლები. ეს არა მარტო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკების, არამედ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციათა მუშაკების ბრალიცაა, რომლებმაც ყოველი ღონე უნდა იხმარონ სამედიცინო დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. თბილისის საქალაქო ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების ახალმა ხელმძღვანელობამ, თბილისის რაიონების მთავარმა ექიმებმა გულდასმით უნდა შეისწავლონ სიღრმული პროცესები, აღმოფხვრან სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები. საჭიროა საკითხების გადაწყვეტას მივუდგეთ არა ვიწრო პროფესიული, უწყებრივი ინტერესების საზომით, არამედ პარტიულობის პრინციპებიდან, სახელმწიფოებრივად. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, ქალაქის ჯანდაცვის განყოფილებამ უფრო აქტიურად უნდა მიმართონ შესაბამის ზემდგომ ინსტანციებს სამედიცინო დაწესებულებათა საქმიანობის სრულყოფასთან დაკავშირებული მტკივნეული, საჭირბოროტო საკითხების, კონკრეტული წინადადებებით გამო.

თ. ნ. მენთეშაშვილმა აღნიშნა, რომ თბილისის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის კონკრეტული ანალიზის და მიმდინარე პლენუმზე მოცემული საკითხის განხილვის თანახმად, ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის სისტემის კოლექტივებისა და პარტიულ ორგანიზაციათა წინაშე ორი ფუძემდებლური პრობლემა დგას. პირველი — ღრმად, კომპეტენტურად, მეცნიერულად გააანალიზონ პლენუმზე წამოჭრილი მთელი საკითხები ყველა სამსახურის წარმომადგენლების, სპეციალისტების მონაწილეობით, — დასახონ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული გზები. და მეორე — განამტკიცონ დისციპლინა და წესრიგი სამედიცინო დაწესებულებათა ყოველ რგოლსა და ყოველ კოლექტივში, უზრუნველყონ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის მითითებათა უთუოდ განხორციელება. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ამაღლდეს მედიკოსთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული მუშაობის დონე, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა და შემტევობა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, უფრო მკაცრად მივუდგეთ კადრების შერჩევა-განაწილებას. უნდა ვეცადოთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის სულ უფრო მეტი ობიექტი და დაწესებულება გახდეს სანიმუშო, რადგან ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო ჩვენი საერთო საქმიანობისა იმისათვის, რომ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადავაქციოთ თბილისი. ამისათვის საჭიროა მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ დახმარება სამედიცინო დაწესებულებებს, განვამტკიცოთ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, უფრო გულდასმით გავიაზროთ და მიზანშეწონილად გადავწყვიტოთ დისლოკაციის, თანამედროვე მოწყობილობითა და აპარატურით უზრუნველყოფის საკითხები. განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ საავადმყოფოების, პოლიკლინიკების, დისპანსერების, ამბულატორიების, ჯანმრთელობის პუნქტების მუშაკებზე. ყოველივე ეს, საბოლოოდ, დადებით ზეგავლენას მოახდენს ქალაქ თბილისის სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მუშაობაზე.

ბოლოს ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი შეეხო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს საქმიანობის ანგარიშს XXXVII საქალაქო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესრულების თაობაზე. მან აღნიშნა, რომ ასეთი ანგარიშები უნდა დამკვიდრდეს არა მარტო პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმზე, არამედ პარტიის რაიკომების პლენუმებზეც, პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც, რომლებზეც მიმდინარე წელს გამოვლენ პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები. ეს შესაძლებელს გახდის გაუმჯობესდეს ურთიერთინფორმირების მდგომარეობა, ამაღლდეს კომუნისტების აქტიურობა, დაგვეხმარება უფრო კრიტიკულად შევაფასოთ საკუთარი საქმიანობის შედეგები.

პლენუმის მონაწილეებმა გამოთქვეს რწმენა, რომ კომუნისტები, რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა მშრომელი ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა წარმატებით განახორციელონ სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, თბილისის საქალაქო პარტიული XXXVII კონფერენციის გადაწყვეტილებანი. (საქინფორმი — „კომუნისტი").

მასობრივი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ფორმა

„პარტიის გეგმებს — იდეოლოგიური უზრუნველყოფა" — ეს მოწოდება უკანასკნელ დროს სულ უფრო კონკრეტულად ისახება ხორცს აჭარის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში, რომლებიც ახლა გაცილებით უფრო ღრმად სწავლობენ აღმზრდელობითი საქმიანობის საკითხებს, უნარიანად იყენებენ მასებზე პოლიტიკური ზემოქმედების საშუალებებს. პროპაგანდა და აგიტაცია სულ უფრო კონკრეტულ, შემტევ ხასიათს იძენს. ამას ხელი შეუწყო პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ყურადღების ამაღლებამ საგიტაციო მასობრივი მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებისადმი, სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებში, მოხსენებებსა და გამოსვლებში მოცემული დებულებებისა და დასკვნების პროპაგანდის გაძლიერებამ.

ავტონომიური რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მიერ უკანასკნელ დროს შექმნილი საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მთელი მდიდარი გამოცდილება აისახა აჭარელ აგიტატორთა პირველ ყრილობაზე, რომელიც მიმდინარე წლის 12 თებერვალს გაიმართა. ბათუმში ავტონომიური რესპუბლიკის ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტები — აგიტატორთა, პოლიტინფორმატორთა, მომხსენებელთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები. უზრუნველყოთ პროპაგანდისა და აგიტაციის მაღალი მეცნიერული დონე, გავაღრმაოთ მათი შინაარსი, გავაძლიეროთ საქმიანობა და კონკრეტულობა, ცხოვრებასთან, სამეურნეო და აღმზრდელობითი ამოცანების გადაწყვეტასთან მათი კავშირი, განვავითაროთ პროპაგანდისტული, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის შემტევი ხასიათი — „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ამ მოთხოვნებმა განსაზღვრა აჭარის აგიტატორთა ყრილობის შინაარსი.

ყრილობაზე გაიმართა საქმიანი, პრინციპული სჯა-ბაასი აგიტატორის, პოლიტინფორმატორის, მომხსენებლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტის, შრომით კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელ ადგილზე საგიტაციო-მასობრივი, პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაციის გამოცდილების, ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის შინაარსის გაუმჯობესებისა და ქმედითობის ამაღლების ღონისძიებების შესახებ. მოხსენებასა და გამოსვლებში აღინიშნა, რომ საგიტაციო-მასობრივი მუშაობის წარმატების საწინდარია საორგანიზაციო, სამეურნეო და აღმზრდელობითი საქმიანობის, სიტყვისა და საქმის ერთიანობა; ყრილობაზე აღინიშნა, რომ შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის საყოველთაო-სახალხო აღმავლობა გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის მზადებამ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადებამ.

ყრილობაზე კამათის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ადამიანთა შეგნების ამაღლებაში შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში, უქნარების, სამუშაოს გაცდენების, ხულიგნების, მუქთახორების, ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის გამოყენების გამოცდილება.

გამოითქვა წინადადებები ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის შემდგომი ორგანიზაციული და მეთოდიკური დახვეწის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების გზებსა და საშუალებებზე.

აჭარის აგიტატორთა პირველმა ყრილობამ მიიღო რეკომენდაციები, რომელთა მიზანი ის არის, რომ კიდევ უფრო დაიხვეწოს ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტთა საქმიანობა მშრომელების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდისათვის.

ყრილობის დელეგატებმა მიიღეს მიმართვა საქართველოს ყველა აგიტატორისადმი.

ყრილობაზე წაიკითხეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ავტონომიური რესპუბლიკის მოწინავე აგიტატორების, პოლიტინფორმატორების, პროპაგანდისტების აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით დაჯილდოების შესახებ. პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტთა დიდი ჯგუფი დაჯილდოებულია საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის საპატიო და სამახსოვრო სიგელებით, ფასიანი საჩუქრებით, ტურისტული საგზურებით. ბევრი მათგანის სახელი შეტანილია პარტიის საოლქო კომიტეტის მოწინავე იდეოლოგიურ მუშაკთა საპატიო წიგნში, ხოლო მათი ფოტოსურათები — გამოფენილია პოლიტგანათლების საოლქო სახლის საპატიო დაფაზე.

აჭარის აგიტატორთა ყრილობამ, აგიტატორთა საქალაქო და რაიონულმა კონფერენციებმა, რომლებიც ყრილობამდე გაიმართა, ხელი შეუწყვეს ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის მოწინავე გამოცდილების, პარტიის პოლიტიკის პროპაგანდის ახალი, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების განზოგადებასა და გავრცელებას, პარტიული ორგანიზაციების იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის შინაარსის გააქტიურებასა და ქმედითობის ამაღლებას, გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა დარაზმვას, საგიტაციო-მასობრივი მუშაობის როლის გაძლიერებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აჭარის აგიტატორთა პირველი ყრილობის შედეგები და მოიწონა ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტთა კონფერენციების, შეკრებების, ყრილობების მოწყობის პრაქტიკა, რაც საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელების, პარტიული ორგანიზაციების მთელი იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ამაღლების ერთ-ერთი ფორმაა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების ყურადღება მიაპყრო ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის აქტივისტთა შეკრებების, კონფერენციების, ყრილობების მომზადებისა და მოწყობის გამოცდილებას, რომლებიც ხელს უწყობს პროპაგანდისა და აგიტაციის ახალი, პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვას, ცხოვრებასთან, სამეურნეო და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტასთან მათი კავშირის გაძლიერებას „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის დებულებებისა და დასკვნების მიხედვით. (საქინფორმი).

აგიტაცია: შემტევი, ქმედითი

აჭარის აგიტატორთა პირველი ყრილობის მონაწილეთა მიმართვა საქართველოს ყველა აგიტატორისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად მტკიცედ ახორციელებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის დავალებებს.

აჭარის, ისევე როგორც მთელი ჩვენი რესპუბლიკის, მშრომელთა წარმატებანი არაერთხელ აღინიშნა გარდამავალი წითელი დროშით. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მაღალ შედეგებს მიაღწიეს. მეჩაიეებმა და მეციტრუსეებმა ჯერ კიდევ შარშან უპატაკეს სამშობლოს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება. შეიმჩნევა აღმავლობა სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგებშიც.

ვამაყობთ, რომ ამ წარმატებებში არის ჩვენი წვლილიც — იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა, კერძოდ, აგიტატორთა წვლილი. თითოეული ჩვენგანი ხომ სიტყვით და საქმით, პირადი მაგალითით აქტიურად მონაწილეობს კონკრეტული სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტაში, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურ, შრომითსა და ზნეობრივ აღზრდაში.

ჩვენს მუშაობას ორგანულად ვუკავშირებთ ეკონომიკის შემდგომი პროგრესისა და კულტურის აყვავებისათვის, ყველა ნეგატიური მოვლენის საბოლოო აღმოფხვრისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობას, რაც, უეჭველია, საბჭოთა საქართველოს კიდევ უფრო მოწინავე პოზიციებზე გაიყვანს. ეს შეესაბამება იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებსაც გვისახავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებანი „სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში ზეპირი პოლიტიკური აგიტაციის როლის ამაღლების შესახებ" და „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ".

უკანასკნელ ხანს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საგიტაციო მუშაობის პრაქტიკა გამდიდრდა ახალი შინაარსით, მშრომელთა წინაშე იდეოლოგიურ მუშაკთა გამოსვლები უფრო საინტერესო, მაღალიდეური და ქმედითი გახდა. ბევრი აგიტატორი მუშაობს პირადი შემოქმედებითი გეგმებით, რომლებიც ითვალისწინებს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის, მათი შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლების კონკრეტულ ღონისძიებებს.

ცხოვრება მოწმობს, რომ ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია მშრომელებს ეხმარება უფრო ღრმად შეიგნონ თავიანთი საწარმოო საქმიანობის მნიშვნელობა, მეტი მომთხოვნელობით მოეკიდონ საკუთარ თავსა და თანამოსაქმე ამხანაგებს, იყვნენ შეურიგებელნი უყაირათობისა და უდისციპლინობისადმი, კომუნისტური მორალის ნორმების დარღვევებისადმი.

სათანადოდ ვაფასებთ რა მიღწეულ წარმატებებს, ვგრძნობთ, რომ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი და ხარვეზია, ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ფორმალიზმი, შაბლონისა და პრიმიტივიზმის ელემენტები. ჩვენს საუბრებს ზოგჯერ აკლია გაბედულობა, მიზანსწრაფულობა, გულახდილობა, შეტევითობა, მჭიდრო კავშირი ცხოვრებასთან, ყველა ჩვენგანი როდია დაუფლებული ხელოვნებას ჩასწვდეს ადამიანის სულიერ სამყაროს, ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა გონებასა და შეგნებაზე, სწორედ ამიტომ ყოველთვის ბოლომდე როდი ვიყენებთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის შესაძლებლობებს სამეურნეო და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების იდეოლოგიური უზრუნველყოფისათვის.

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებით, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებითა და დასკვნებით განსაზღვრული ამოცანების განხორციელებისათვის საჭიროდ მიგვაჩნია:

— კიდევ უფრო სრულვყოთ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ადამიანებთან ურთიერთობის ხელოვნება, დავიცვათ და გავამრავლოთ ყოველივე ის დადებითი, რაც მოპოვებულია ზეპირ პოლიტიკურ აგიტაციაში, თავიდან ავიცილოთ ფორმალიზმი და ზერელე დამოკიდებულება საქმისადმი, ავამაღლოთ ჩვენი სიტყვის, მშრომელთა წინაშე თითოეული გამოსვლის ავტორიტეტი, რათა ადამიანებს მივაჩნდეთ პარტიის პოლიტიკის მგზნებარე გამტარებლებად, რომლებსაც შეუძლიათ გაიზიარონ მათი ჭირი და ლხინი, იყვნენ კეთილი მრჩევლები და დამრიგებლები;

— ყოველნაირად ავამაღლოთ საგიტაციო მუშაობის მეცნიერული დონე, მივაღწიოთ, რომ მშრომელებს ღრმად ესმოდეთ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, ავამაღლოთ მათი პოლიტიკური შეგნება და პოლიტიკური სიმწიფე;

— მივაღწიოთ საუბრების ქმედითობას, კონკრეტულობას, შეტევით სულისკვეთებას; თითოეული გამოსვლა მჭიდროდ დავუკავშიროთ ცხოვრებას, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების, მწვავე, საჭირბოროტო პრობლემების გადაწყვეტას;

— დღენიადაგ ვეძებოთ და დავნერგოთ მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები;

— მივაღწიოთ, რომ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ანალიზი ადამიანებისათვის გახდეს რწმენა, მოქმედების პრაქტიკული სახელმძღვანელო;

— ზუსტად განვუმარტოთ თითოეულ მშრომელს, რომ ხუთწლედის წარმატებით დამთავრება, გეგმა-ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება დამოკიდებულია კოლექტივის თითოეული წევრის კეთილსინდისიერ და ნაყოფიერ მუშაობაზე, დროის რაციონალურ გამოყენებაზე, პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების სწრაფ დანერგვაზე, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაზე, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სრულყოფაზე;

— მივაღწიოთ, რომ მსმენელებმა ღრმად შეისწავლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება დაგეგმვისა და სამეურნეო მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ. ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა ადამიანები სისტემატურად ისწრაფოდნენ სრულყონ შრომისა და წარმოების ორგანიზაცია, მიიღონ მეტი უკუგება უმცირესი შრომითი და ფინანსური დანახარჯებით;

— დავეხმაროთ პარტიულ ორგანიზაციებს შრომითი მეტოქეობის გაჩაღებაში, მისი ლენინური პრინციპების განხორციელებაში, შეჯიბრების აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერებაში, მატერიალური და მორალური წახალისების უნარიან შეხამებაში;

— შევისწავლოთ და მკაფიოდ, გასაგებად განვუმარტოთ მოწინავე შრომითი კოლექტივების, ცალკეული ნოვატორების საუკეთესო მიღწევები, თაოსნობებისა და ინიციატივების მნიშვნელობა, ამასთან დავეხმაროთ მათ ათვისება-დანერგვაში.

ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა ადამიანთა მორალურ-ზნეობრივი წრთობა, მათი აღზრდა პარტიის საქმის, კომუნისტური იდეალების ერთგულების სულისკვეთებით, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

საჭიროა დღენიადაგ ვიბრძოლოთ ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისა და ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შექმნისათვის, ადამიანებს უნდა ვუღვივებდეთ ნაკლოვანებებისადმი, დარღვევებისადმი შეურიგებლობის გრძნობას, ვუნერგავდეთ ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის გამოვლინებებისადმი, წარსულის მავნე გადმონაშთებისადმი შეურიგებლობის აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციას.

მოვუწოდებთ საქართველოს ყველა აგიტატორს გარდაქმნას თავისი მუშაობა დღევანდელობის მოთხოვნების შესაბამისად, მთელი ცოდნა და გამოცდილება, მთელი უნარი მოახმაროს იმას, რომ მშრომელები დარაზმონ, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, ხუთწლედის დავალებების წარმატებით შესრულებისათვის, სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეულად შეხვედრის უზრუნველყოფისათვის საყოველთაო-სახალხო მოძრაობაში.

მიღებულია აჭარის აგიტატორთა პირველ ყრილობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება

I. მუდმივი კომისიების ორგანიზაციისა და საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მათი შექმნის წესი

მუხლი 1. საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო დეპუტატთაგან ირჩევს მუდმივ კომისიებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საკითხების წინასწარ განსახილველად და მოსამზადებლად, აგრეთვე საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ხელშესაწყობად, სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლისათვის.

მუხლი 2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანები:

წინადადებების შემუშავება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის განსახილველად;

დასკვნების მომზადება იმ საკითხებზე, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად;

სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის ხელის შეწყობა მუშაობაში სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის;

კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის, სსრ კავშირის კანონებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა, საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად;

კონტროლის გაწევა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საქმიანობისადმი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამგებლობის საკითხებში;

ხელის შეწყობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების, თანამდებობის პირთათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების განხილვა-რეალიზაციასა და აგრეთვე საქართველოს სსრ ორგანოების გამგებლობის საკითხებზე დეპუტატებისათვის ამომრჩეველთა მიერ მიცემული დავალებების შესრულებისადმი კონტროლის განხორციელებაში.

დაკისრებული ამოცანების შესრულებისას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოწოდებული არიან მთელი თავიანთი მუშაობით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების დროს და სესიებს შუა პერიოდში ხელი შეუწყონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, როგორც საქართველოს სსრ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუდმივ და ეფექტიან საქმიანობას.

მუხლი 3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირის კანონებითა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ კანონებითა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა გადაწყვეტილებებით.

მუხლი 4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობას საფუძვლად უდევს საქართველოს სსრ და სსრ კავშირის ინტერესების ერთიანობა, საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საწარმოო ძალების რაციონალური განლაგების, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების, კომპლექსური ეკონომიკური და სოციალური განვითარების აუცილებლობა, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის, აჭარის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეროვნულ და სხვა თავისებურებათა გათვალისწინება.

მუხლი 5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო ქმნის სამანდატო კომისიას, კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას, საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას, საგარეო საქმეთა კომისიას, აგრეთვე მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე.

მუხლი 6. მუდმივ კომისიებს ირჩევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ ამ მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ვადით კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის წევრების შემადგენლობით. კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო. თითოეული მუდმივი კომისია თავისი წევრებისაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში შეუძლია შექმნას ახალი მუდმივი კომისიები და შეიტანოს ცვლილებები კომისიების შემადგენლობაში.

მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, აგრეთვე დეპუტატები, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში არიან, და საქართველოს სსრ პროკურორი.

მუხლი 7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული არიან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მუდმივი კომისიების საქმიანობას კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, განაგებს რა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შინაგანაწესს, ეხმარება მუდმივ კომისიებს მუშაობის ორგანიზაციაში.

მუხლი 8. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების მუშაობა ემყარება საკითხების კოლექტიურ, თავისუფალ, საქმიან განხილვასა და გადაწყვეტას, საჯაროობასა და მუდმივი კომისიების წევრთა ფართო ინიციატივას.

უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მოქმედებენ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, სწავლობენ და ითვალისწინებენ საზოგადოებრივ აზრს.

II. მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

მუხლი 9. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხებს, უფლებებსა და მოვალეობებს, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავენ საქართველოს სსრ კონსტიტუცია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი, ეს დებულება, საქართველოს სსრ კანონები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებები.

მუხლი 10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიას ევალება:

1) შეამოწმოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარუდგინოს წინადადებანი დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, ხოლო არჩევნების კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში — ცალკეულ დეპუტატთა არჩევნების ბათილად ცნობის თაობაზე;

2) მოამზადოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს წარუდგინოს წინადადებები გამოკლებულთა ნაცვლად დეპუტატების არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

3) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და წინადადებები დეპუტატის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ასეთი საკითხების შესახებ;

4) მოამზადოს დასკვნები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია დეპუტატის ხელშეუხებლობასა და დეპუტატის საქმიანობის სხვა გარანტიებთან ან ამომრჩეველთა მიერ დეპუტატის გაწვევასთან.

მუხლი 11. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობისა და სოციალისტური კანონიერების საკითხების კომისიას ევალება:

1) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები, მოამზადოს კანონმდებლობის სრულყოფასთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები;

2) წინასწარ ან დამატებით განიხილოს კომისიისათვის გადაცემული საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და მოამზადოს შესაბამისი დასკვნები;

3) სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების იმ პროექტების შემუშავებაში, რომლებსაც ამზადებენ შესაბამისი კომისიები;

4) მოამზადოს წინადადებანი საქართველოს სსრ კანონმდებლობის კოდიფიკაციისა და სისტემატიზაციის საკითხებზე;

5) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის, კანონმდებლობის სრულყოფის საკითხებზე.

მუხლი 12. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას ევალება:

1) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმები და ანგარიშები სახელმწიფო გეგმების შესრულების შესახებ;

2) წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილი საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტი და ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

3) განიხილოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებებისაგან, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა რესპუბლიკური და საოლქო ორგანოებისაგან კომისიაში შემოსული წინადადებები, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებელთა ცვლილებას;

4) მოამზადოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხვა მუდმივ კომისიებთან ერთად დასკვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების თაობაზე და წარუდგინოს ეს დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმს;

5) შეიმუშაოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები და წინადადებები ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის, საბიუჯეტო-საფინანსო საკითხებზე, მოამზადოს და წარადგინოს დასკვნები კომისიისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ასეთი საკითხების შესახებ;

6) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ინფორმაციები და მოხსენებები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების საკითხებზე, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მოხსენებები იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება დაგეგმვას, დაფინანსებას, დაკრედიტებასა და ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვა საკითხებს.

მუხლი 13. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიას ევალება:

1) მოამზადოს და წინასწარ განიხილოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მიერ სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად გადასაწყვეტი საგარეო პოლიტიკური საკითხები, აგრეთვე წინადადებები და დასკვნები ამ საკითხებზე წარუდგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს და მის პრეზიდიუმს;

2) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის დავალებით, აგრეთვე თავისი ინიციატივით შეიმუშაოს საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები საგარეოპოლიტიკურ საკითხებზე.

3) მოისმინოს საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები უცხოეთის სახელმწიფოებთან ეკონომიკური, სამეცნიერო, კულტურული და სხვა კავშირის განვითარების საკითხებში მათი საქმიანობის შესახებ.

მუხლი 14. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის სხვა საკითხებზე ევალებათ:

1) წინასწარ განიხილონ და მოამზადონ საკითხები სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი დარგების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ, რომლებიც კომისიების გამგებლობას განეკუთვნება, და შეიმუშაონ წინადადებანი ასეთ საკითხებზე.

2) შეიმუშაონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის დავალებით ან თავისი ინიციატივით საქართველოს სსრ კანონებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხვა აქტების პროექტები კომისიების გამგებლობის საკითხებზე, აგრეთვე მოამზადონ დასკვნები კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემული ასეთი საკითხების შესახებ;

3) წინასწარ განიხილონ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისი განყოფილებები და მაჩვენებლები და ანგარიშები გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

4) განიხილონ საქართველოს სსრ სამინისტროებისაგან, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური და საოლქო საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სხვა რესპუბლიკური და საოლქო ორგანოებისაგან კომისიაში შემოსული წინადადებები, რომლებიც ეხება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთა ცვლილებას;

5) მოამზადონ საგეგმო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად დასკვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმებისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის, გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშების თაობაზე და წარუდგინონ ეს დასკვნები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა, მის პრეზიდიუმს.

6) მოისმინონ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ინფორმაციები და მოხსენებები კომისიების გამგებლობის საკითხებზე.

მუხლი 15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რამდენიმე მუდმივი კომისიის გამგებლობის საკითხები, კომისიების ინიციატივით, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის დავალებით კომისიებმა შეიძლება ერთობლივად მოამზადონ და განიხილონ.

მუდმივ კომისიას მის მიერ განსახილველ საკითხებზე შეუძლია აზრი გამოჰკითხოს სხვა მუდმივ კომისიებს.

მუხლი 16. თუ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიას მიაჩნია, რომ მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხი სხვა კომისიის გამგებლობასაც განეკუთვნება, ან თუ საჭიროდ თვლის გამოთქვას თავისი აზრი სხვა მუდმივი კომისიის მიერ განსახილველ საკითხზე, მას უფლება აქვს შეიტანოს წინადადება ამის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში.

მუდმივ კომისიას სხვა მუდმივი კომისიების თხოვნით შეუძლია თავისი გამგებლობის საკითხებში მონაწილეობა მიიღოს ამ კომისიების მიერ განსახილველი საკითხების მომზადებაში.

III. მუდმივი კომისიების უფლებები და მოვალეობები

მუხლი 17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები თავიანთი გამგებლობის საკითხების განხილვისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ და თანაბარი მოვალეობები აკისრიათ.

მუხლი 18. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვთ საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში, აგრეთვე უფლება აქვთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის განსახილველად შეიტანონ სახელმწიფო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაბამისი საკითხები.

მუხლი 19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სხდომებზე მოხსენებებით და თანამოხსენებებით თავიანთი გამგებლობის საკითხებზე.

მუდმივი კომისიები საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა და მის პრეზიდიუმში მათ მიერ შეტანილ საკითხებზე, ანდა კომისიებისათვის წინასწარ ან დამატებით განსახილველად გადაცემულ საკითხებზე გამოყოფენ თავიანთ მომხსენებლებს ან თანამომხსენებლებს.

მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მომზადებულ საკითხებზე კომისიებს შეუძლიათ გამოვიდნენ ერთობლივი მოხსენებებით და თანამოხსენებებით ან ცალ-ცალკე წარმოადგინონ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები.

მუხლი 20. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეიტანონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში წინადადებები საქართველოს სსრ კანონების პროექტების ან რესპუბლიკის სახელმწიფო ცხოვრების სხვა მნიშვნელოვანი საკითხების სახალხო განხილვისათვის გადაცემის შესახებ, აგრეთვე კანონპროექტების ან სხვა წინადადებების საზოგადოებრიობის განსახილველად გამოქვეყნების თაობაზე.

განხილვის მსვლელობაში კანონების პროექტებისა და სხვა საკითხების თაობაზე შემოსული მოქალაქეების, შრომითი კოლექტივების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წინადადებებს განიხილავენ და განაზოგადებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მიერ დადგენილი წესით და მოახსენებენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე საქართველოს სსრ კანონის პროექტის ან სხვა საკითხის განხილვისას.

მუხლი 21. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს თავიანთი გამგებლობის საკითხებზე უფლება აქვთ მოუსმინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენლებს, საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტებისა და უწყებების, სხვა რესპუბლიკური და ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

მუდმივი კომისიის წინადადებით აღნიშნული ორგანოების, საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენლები და ხელმძღვანელები ვალდებული არიან გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე და წარადგინონ განმარტებანი კომისიის მიერ განსახილველ საკითხებზე. ამასთან მუდმივი კომისიები დროულად აუწყებენ შესაბამის ორგანოებსა და ორგანიზაციებს, რომ განიხილავენ საკითხებს.

მუხლი 22. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთი გამგებლობის საკითხებზე მოსთხოვონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს წარუდგინონ მათ დოკუმენტები, წერილობითი დასკვნები, საანგარიშო მონაცემები და სხვა მასალები.

ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანო, ორგანიზაცია და თანამდებობის პირი ვალდებულია შეასრულოს მუდმივი კომისიების მოთხოვნები, წარუდგინოს მათ საჭირო მასალები და დოკუმენტები.

მუხლი 23. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების რეკომენდაციები ეგზავნება შესაბამის ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს და მათ შესახებ ეცნობება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო (რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების) საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანოებმა, საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ უნდა ეცნობოს კომისიებს არა უგვიანეს ორი თვის ვადაში ან კომისიების მიერ დადგენილ სხვა ვადაში.

მუხლი 24. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ შეკითხვის წესით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, მინისტრებსა და სხვა იმ ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებსაც ქმნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, აგრეთვე საქართველოს სსრ ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საქართველოს სსრ გამგებლობის საკითხებზე.

მუხლი 25. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ თავიანთ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიიზიდონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რომლებიც არ შედიან კომისიის შემადგენლობაში, აგრეთვე საქართველოს სსრ სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები.

მუხლი 26. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები მოვალე არიან მონაწილეობა მიიღონ კომისიების საქმიანობაში, ხელი შეუწყონ მათი გადაწყვეტილებების განხორციელებას, შეასრულონ კომისიათა დავალებები.

მუდმივი კომისიის წევრი სარგებლობს გადამწყვეტი ხმის უფლებით ყველა საკითხში, რომლებსაც კომისია იხილავს, მას უფლება აქვს დააყენოს საკითხები მუდმივი კომისიის განსახილველად და მონაწილეობა მიიღოს მათს მომზადებასა და განხილვაში; შეიტანოს წინადადებები სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობის შემოწმების საჭიროების შესახებ, კომისიის სხდომაზე მათი ანგარიშების ან ინფორმაციების მოსმენის თაობაზე.

მუდმივი კომისიის წევრს, რომლის წინადადებებსაც კომისიამ მხარი არ დაუჭირა, შეუძლია შეიტანოს ისინი წერილობით ან ზეპირად საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსა ან მის პრეზიდიუმში ამ საკითხის განხილვისას.

მუდმივი კომისიის წევრს უზრუნველყოფილი აქვს პირობები კომისიის მიერ განსახილველი ყველა საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მისაღებად, ეგზავნება ამისათვის საჭირო დოკუმენტები და სხვა მასალები.

მუხლი 27. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიის დავალებით და თავისი ინიციატივით [illegible] კომისიის გამგებლობის საკითხებზე [illegible] ორგანიზაციების, აგრეთვე მოქალაქეთა წინადადებებს, თავიანთ დასკვნებსა და წინადადებებს აუწყებენ კომისიას.

მუხლი 28. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების წევრები კომისიების სხდომების დროს, აგრეთვე კომისიების დავალებათა შესასრულებლად თავისუფლდებიან საწარმოო ან სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებისაგან და ენახებათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე.

IV. მუდმივი კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 29. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები მუშაობენ მათ სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

მუხლი 30. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ საჭიროების მიხედვით და ეს სხდომები შეიძლება გაიმართოს როგორც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიების დროს, ისე სესიებს შუა პერიოდში.

მუხლი 31. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თუ სხდომაზე ჩამოსვლა არ შეუძლია, კომისიის წევრი ამის შესახებ ატყობინებს მუდმივი კომისიის თავმჯდომარეს.

მუხლი 32. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში ყველა საკითხი წყდება კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

რამდენიმე მუდმივი კომისიის ერთობლივი სხდომის ჩატარებისას გადაწყვეტილებებს ღებულობენ თითოეული კომისიის წევრთა საერთო შემადგენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 33. საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, რომლებიც არ შედიან ამ კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 34. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და მეცნიერები, რომლებიც სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

საჭიროების შემთხვევაში მუდმივ კომისიას შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება დახურული სხდომის ჩატარების შესახებ.

მუხლი 35. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებს მათ მიერ განსახილველი საკითხების მოსამზადებლად შეუძლიათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან, შესაბამისი სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებისაგან, სპეციალისტებისა და მეცნიერებისაგან შექმნან მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუდმივ კომისიებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი მოსამზადებელი კომისიები და სამუშაო ჯგუფები.

მუხლი 36. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობს რა მის მუშაობას:

იწვევს კომისიის სხდომებს და ორგანიზაციას უწევს სხდომებისათვის საჭირო მასალების მომზადებას;

დავალებებს აძლევს კომისიის წევრებს, უგზავნის მათ კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებულ მასალებსა და დოკუმენტებს;

გამოიძახებს კომისიის წევრებს მოსამზადებელ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მუშაობისათვის, აგრეთვე კომისიის სხვა დავალებათა შესასრულებლად;

კომისიის სხდომებში მონაწილეობისათვის იწვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს;

თავმჯდომარეობს კომისიის სხდომებს;

წარმომადგენლობს კომისიას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებთან ურთიერთობაში;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად;

ინფორმაციას აწვდის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს კომისიაში განხილული საკითხების, აგრეთვე კომისიის რეკომენდაციათა სარეალიზაციოდ მიღებული ზომების შესახებ;

ინფორმაციას აწვდის კომისიის წევრებს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და მის რეკომენდაციათა განხილვის შესახებ.

კომისიების ერთობლივ სხდომებს რიგრიგობით ატარებენ ამ კომისიათა თავმჯდომარეები.

მუხლი 37. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე. მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად მიღებულ დადგენილებებსა და ერთობლივად მომზადებულ დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები.

მუდმივი კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს კომისიის მდივანი. მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომათა ოქმებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების მდივნები.

მუხლი 38. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საზოგადოებრიობას ინფორმაციას აწვდიან თავიანთი საქმიანობის შესახებ. მუდმივი კომისიების, მათი მოსამზადებელი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ პრესის, ტელევიზიის, რადიოს და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

ცნობები მუდმივ კომისიათა მუშაობის შესახებ ქვეყნდება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებებსა" და რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტსა" და „ზარია ვოსტოკაში".

მუხლი 39. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების საქმიანობის მომსახურებას უზრუნველყოფს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აპარატი.

საპატიო ჯილდოები — «დინამოს» ფეხბურთელებს

წარმატებული ასპარეზობისათვის და 1978 წელს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდების მოპოვებისა და 1979 წელს სსრ კავშირის თასის მოპოვებისათვის თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა ჯგუფი და მათი მწვრთნელები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით.

31 მარტს სპორტსმენებს გადაეცათ ჯილდოები. დადგენილება დაჯილდოების შესახებ წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ლაშქარაშვილმა.

ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს საპატიო სიგელები გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა.

დაჯილდოებულთა შორის არიან — „დინამოს" მწვრთნელები ნ. ახალკაცი, ქ. ახათიანი, ს. კუტივაძე და გ. ნოდია, ფეხბურთელები — ო. გაბელია, ვ. გუცაევი, ვ. დარასელია, მ. მაჩაიძე, დ. მუჯირი, ნ. კაკილაშვილი, თ. კოსტავა, ვ. კოპალეიშვილი, თ. სულაქველიძე, ვ. ქორიძე, გ. მაჩაიძე, დ. ყიფიანი, რ. შენგელია, ა. ჩივაძე, რ. ჩელებაძე, გ. ჭილაია, ნ. ხიზანიშვილი, შ. ხინჩაგაშვილი, გუნდის ექიმი ზ. თელია, მწვრთნელი ფიზიკურ მომზადებაში ა. ხუციშვილი, გუნდის ადმინისტრატორი თ. მაჭავარიანი, მასაჟისტი ა. გაბიტაშვილი.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა გუნდის კაპიტანმა მ. მაჩაიძემ, ზ. თელიამ და ნ. ახალკაცმა გულითადი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს და რესპუბლიკის მთავრობას ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებისადმი მუდმივი ყურადღებისათვის და აღუთქვეს მათ, რომ ღირსეულად იასპარეზებენ წლევანდელ სეზონშიც.

ფეხბურთელებს საპატიო ჯილდო მიულოცეს პ. გილაშვილმა, საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დ. პერტენავამ; ჩვენი ფეხბურთის ვეტერანებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა ბ. პაიჭაძემ და გ. გაგუამ, საერთაშორისო დიდოსტატმა ნ. ალექსანდრიამ. (საქინფორმი).

„პარტიული სიტყვა" № 6

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალის „პარტიული სიტყვის" მორიგი, მეექვსე ნომერი.

განყოფილებაში „ლენინის იუბილეს შესახვედრად" დაბეჭდილია წერილები: ე. ველაშვილის — ეუფლებიან ლენინურ იდეურ მემკვიდრეობას, ამრავლებენ წარმატებებს; ც. ნასარიძის — ვიცხოვროთ, ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ ლენინურად; დ. ბარათაშვილის— ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევნებისწინა სიტყვას — ფართო და მიზანდასახული პროპაგანდა.

რუბრიკით „აჭარის აგიტატორთა საოლქო ყრილობაზე" გამოქვეყნებულია ბ. გულიაშვილის ანგარიში — სიტყვით, საქმით — პარტიის მხარდამხარ.

ანშლაგით „ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ" დაბეჭდილია: ლ. გვაჯაიას — წინსვლის მთავარი ფაქტორები; ჟ. ილაშვილის — ყოველ ინიციატივას — იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

განყოფილებაში „მასალები სიტყვიერი გამოსვლისათვის" გაეცნობით მასალებს: უპირველესი ჯილდო; თავდადების სიმბოლო; ეძიებენ ქართველი გეოლოგები; კოსმოსი დალაშქრა ადამიანმა...

ჟურნალს აქვს განყოფილებები: „მშრომელთა პოლიტიკური და ეკონომიკური განათლება"; „პარტიული სწავლების სისტემათვის"; „სპეციალისტის რჩევა-დარიგება".

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

საერთაშორისო ცხოვრება

დედამიწის ზურგზე

მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის

ტორონტო, 1 აპრილი. აქ მუშაობა დამთავრა „კანადა–სსრ კავშირის" ასოციაციის კონფერენციამ. კონფერენციის მონაწილეების მიერ ერთსულოვნად მოწონებული რეზოლუცია შეიცავს მოწოდებას განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.

დოკუმენტში მკაცრად არის გაკრიტიკებული ვაშინგტონის ადმინისტრაციის ცდები ბოიკოტი გამოუცხადონ მოსკოვის ოლიმპიადას. ჩვენმა მთავრობამ, აღნიშნულია რეზოლუციაში, მხარი უნდა დაუჭიროს ამ ასპარეზობაში მონაწილეობას, კანადას უნდა ჰქონდეს საკუთარი დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა, რომლის მიზანი იქნება დაძაბულობის შენელება, მშვიდობის დაცვა და განმტკიცება.

კონფერენციის ტრიბუნიდან მისმა დელეგატებმა გადაჭრით დაგმეს ავღანეთის ამბების გარშემო ამერიკის ადმინისტრაციის მიერ გაჩაღებული პროვოკაციული ხმაური.

საბოლოო სხდომაზე აირჩიეს „კანადა–სსრ კავშირის" ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობა მ. ლუკაჩის მეთაურობით.

„საიდუმლოების ბურუსი" იფანტება

ქაბული 1 აპრილი. ქაბულის ტელევიზიამ გადასცა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა, რომელშიც გაშუქებულია ამერიკის ქაბულელი ელჩის დაბსის მოკვლის ზოგიერთი გარემოება. ცნობაში, კერძოდ, ნათქვამია, რომ „საიდუმლოების ბურუსი", რომლითაც გარემოცული იყო ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის დაღუპვა 1979 წლის 14 თებერვალს, რომელიც „ყველასათვის უცნობ ტერორისტთა" ჯგუფის მსხვერპლი გახდა, თანდათან იფანტება.

გამოირკვა, რომ ოთხივე ტერორისტი რელიგიური ორგანიზაციის წევრები იყვნენ და ილაშქრებდნენ მასობრივი დაუსაბუთებელი რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ამინი და მისი ხელქვეითნი იწყობდნენ მუსლიმანთა მიმართ. ეს ტერორისტები, როგორც ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, „მზად იყვნენ მიემართათ უკიდურესი ღონისძიებისათვის, რათა აეძულებინათ თვით ამერიკელები, რომ მათ ეღიარებინათ ამერიკის შეერთებული შტატების ქაბულის საელჩოს კავშირი ამინთან".

გამოძიების მსვლელობაში კვლავ გულდასმით იქნა გაანალიზებული 14 თებერვლის ამბები. ამასთან გამოძიებამ ყურადღება მიაქცია იმას, რომ დაბსის განთავისუფლების ოპერაციის მონაწილენი გადაჭრით და მტკიცედ ილაშქრებდნენ სასტუმრო „ქაბულის" იმ ნომერზე იერიშის მიტანის წინააღმდეგ, სადაც იმყოფებოდნენ ტერორისტები და მათი მსხვერპლი. მიუხედავად ამისა, ამინმა გასცა ბრძანება დაეწყოთ იერიში და „ემოქმედათ დაუნდობლად". ატყდა სროლა, სასიკვდილოდ დაიჭრა ელჩი. მალე მოკლეს ერთ-ერთი ტერორისტი, მეორე დაჭრეს, ორიც ტყვედ ჩაიგდეს. მაგრამ შემდგომ დღეებში ისინი გაქრნენ. ეჭვს არ იწვევს, რომ ისინი მოსპეს ამინის ბრძანებით, რათა ამით მოესპოთ ყოველგვარი კვალი.

სოლიდარობას უცხადებენ

მაპუტუ, 1 აპრილი. სამხრეთ აფრიკაში და მსოფლიოს სხვა რაიონებში განმათავისუფლებელ მოძრაობებს სოლიდარობა გამოუცხადეს აფრიკის ხუთი ქვეყნის — ანგოლის, გვინეა-ბისაუს, მწვანე კონცხის კუნძულების, მოზამბიკის, სან-ტომესა და პრინსიპის სახელმწიფოს მეთაურთა აქ დამთავრებული კონფერენციის მონაწილეებმა. პრეზიდენტებმა ჟოზე ედუარდუ დოშ სანტუშმა, ლ. კაბრალმა, ა. პერეირამ, ს. მაშელმა და მანუელ პინტუ და კოშტამ აღნიშნეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც დაუჭირონ მხარი სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციასა და სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნულ კონგრესს, რომლებიც სათავეში უდგანან ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩაგრული ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლას. კვლავ დაადასტურეს აგრეთვე საბრძოლო სოლიდარობა პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციასთან.

ირანის ამბების გამო

ვაშინგტონი. თეთრი სახლი დაბნეულია პრესაში გამოქვეყნებული იმ ცნობის გამო, რომ თეირანში შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით ირანელ ხელმძღვანელებს გადაეცათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კარტერის წერილი. ამ წერილში, როგორც თეირანის რადიოს გადაცემაში აღინიშნა, კარტერმა აღიარა, რომ ირანის მიმართ პოლიტიკაში ამერიკის შეერთებული შტატები „შეცდომებს უშვებდა".

თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯ. პაუელმა პრესკონფერენციაზე ძალზე ბუნდოვანი განცხადება გააკეთა. ერთი მხრივ, მან უარყო ასეთი სახის წერილის გადაცემის ფაქტი, მეორე მხრივ, დაადასტურა, რომ სწორია შვეიცარიის მთავრობის განცხადება, რომ მან შუამავლის როლი შეასრულა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ირანს შორის აზრთა დიპლომატიურ გაზიარებაში.

ამასთან, პრესის ცნობებით, ვაშინგტონიდან ირანის ხელმძღვანელებს უკანასკნელ ორ დღეში სულ ცოტა ორი წერილი მაინც გაეგზავნათ.

თეირანი. ისლამურმა რევოლუციურმა საბჭომ განიხილა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის კარტერის წერილი, რომელიც ირანის ხელმძღვანელობას გადასცა შვეიცარიის თეირანის საელჩომ. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ს. ყოტბ-ზადემ, საბჭოს სხდომის შემდეგ ჟურნალისტების წინაშე გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, არავითარი ეჭვი არ არის, რომ წერილი ნამდვილია.

ირანის პრეზიდენტმა ა. ბანისადრმა აღნიშნა, რომ მანაც მიიღო კარტერის წერილი.

ფოტოინფორმაცია

ავსტრიის დედაქალაქში გაიმართა ფაშიზმისა და ნეოფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის კვირეული. მიტინგებისა და მანიფესტაციების მონაწილეებმა დაგმეს ჰიტლერელთა მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს ჩადენილი სისხლიანი დანაშაულობანი, მოითხოვეს ნაციზმის აღორძინების შეჩერება და ნეონაცისტური ორგანიზაციების აკრძალვა.

სურათზე: მანიფესტაციის მონაწილენი.

საქდესის ფოტოქრონიკა.

„კომუნისტის" მიმოხილვა

გასულ კვირაში

● ალექსანდრიის შეხვედრის ექო ● კანდიდატები, პრეზიდენტი და პრობლემები

თავის დროზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დალესს შეკითხვაზე, თუ როგორი მომავალი ელით პალესტინელებს, უპასუხია — „პალესტინელებს არავითარი მომავალი არა აქვთ, ვინაიდან ეს ხალხი გათელესო". მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიოში. დაუნდობელმა ისტორიამ ნაგვის ყუთი აავსო იგივე დალესის არა ერთი და ორი პროგნოზითა და დოქტრინით. პალესტინელთა მიმართაც შეცდა იგი. დღითი დღე სულ უფრო და უფრო რეალური ხდება პალესტინელთა მომავალი. ამ მხრივ კიდევ ერთი სერიოზული გამარჯვება იქნა მოპოვებული გასულ კვირაში — პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია ცნო ინდოეთმა (აქვე აღვნიშნავთ, რომ დღეს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას ორჯერ მეტ სახელმწიფოსთან აქვს ურთიერთობა ვიდრე ისრაელს). თუმცა ყოველივე ეს სულაც არ მოასწავებს იმას, თითქოს პალესტინელთა კანონიერი უფლებები უკვე ავტომატურად იყოს გარანტირებული. ეს რომ ასე არ არის, ამაზეც გასული კვირის მოვლენები მეტყველებს — ისრაელის გადაწყვეტილება დაპყრობილ ტერიტორიაზე რელიგიური სასწავლებლების დაარსებისა და დასახლებათა ქსელის გაფართოების შესახებ და ალექსანდრიის უშედეგო შეხვედრა, რომელზეც ისრაელის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეგვიპტის წარმომადგენლებს „ავტონომიის" საკითხი უნდა განეხილათ.

სულ რამდენიმე საათს გაგრძელდა ალექსანდრიის შეხვედრა. საბოლოო დოკუმენტი არ მალავს იმ ფაქტს, რომ ისრაელის შეურიგებელი პოზიცია ამჯერადაც გადაულახავი ჯებირი აღმოჩნდა. თელავივის წარმომადგენელმა პირდაპირ კატეგორიულად უარყო ყოველგვარი კომპრომისის იდეა. ისრაელის მხარემ უარყო აგრეთვე ეგვიპტის წინადადება უსაფრთხოების საკითხთა შესასწავლად ერთობლივი კომისიის შექმნის შესახებ.

რაც შეეხება დაპყრობილ ტერიტორიათა მოსახლეობას, იგი ჩვეული სიმტკიცით იბრძვის თავისი უფლებებისათვის.

როგორია შექმნილ სიტუაციაში ეგვიპტის პოზიცია? პრეზიდენტ სადათის გაუთავებელმა დათმობებმა ისრაელის მიმართ თითქოს სრული პასუხი გასცა ჩვენ მიერ დასმულ კითხვას, მაგრამ ზოგიერთი მომენტი მაინც მოითხოვს გარკვეულ კორექტირებას.

ამ ორიოდე დღის წინათ, ჩვენი აზრით, მეტად საინტერესო წერილი გამოაქვეყნა მთავრობასთან ახლოს მდგომმა გაზეთმა „ალ-აჰრამმა". უფრო სწორედ, საკითხი ეხება ეგვიპტის პოლიტიკური და სტრატეგიული კვლევების ცენტრის (რომელსაც ხელმძღვანელობს სახელმწიფო მინისტრი გალი) პუბლიკაციას. დოკუმენტი მთლიანად პალესტინელთა „ავტონომიის" საკითხს ეხება და პირდაპირ არის აღნიშნული, რომ კემპ-დევიდის პირველ წლისთავზე რაიმე გარკვეული შედეგი არ ჩანს პალესტინის ავტონომიის საკითხში. ეგვიპტე-ისრაელის კონტაქტები ჩიხში აღმოჩნდა.

ხსენებულ პუბლიკაციას (რომელიც ფაქტიურად ოფიციალური დოკუმენტია), ერთგვარი დისონანსი შეაქვს პრეზიდენტ სადათის საერთო კურსში. რაშია საქმე? აგრძელებს რა საერთოდ სეპარატისტულ, ანტიარაბულ, პროამერიკულ კურსს, ჩვენი აზრით, პალესტინის ე. წ. „ადმინისტრაციული ავტონომიის" საკითხი თავისებური რუბიკონია სადათისათვის, რომლის გადალახვაც მას არ შეუძლია უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ხასიათის მოტივების გამო. ჯერ-ჯერობით, ფინანსისტთა ენით რომ ვთქვათ, სადათი მხოლოდ აბანდებს კაპიტალს (დათმობის სახით), რაც შეეხება დივიდენდებს (საპასუხო დათმობის სახით), ეს უკვე მომავლის საქმეა, თანაც ერთობ საეჭვოა.

დამარცხებათა მთელი სერიის შემდეგ კვლავ იზეიმა „პრაიმერიზში" გამარჯვება სენატორმა ედვარდ კენედიმ. ნიუ-იორკისა და კონექტიკუტის შტატებში მან აშკარად დაჯაბნა პრეზიდენტი. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ნაადრევია და სარისკოა იმაზე მსჯელობა, თუ რომელი დემოკრატი დაამთავრებს წარმატებით „პრაიმერიზების" მარათონს (კიდევ 26 შტატში უნდა ჩატარდეს იგი), მაგრამ ერთი რამის თქმა უკვე შეიძლება — დაიწყო კარტერის პოპულარობის დაქვეითების ახალი ეტაპი. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ეს სულაც არ მოასწავებს, თითქოს პროპორციულად ძლიერდებოდეს კენედის პოზიციები. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი. პირველადი არჩევნების დასაწყის ეტაპზე კარტერმა და მისმა მრჩევლებმა შეძლეს ამომრჩეველთა ყურადღება ძირითადად საგარეო პოლიტიკის საკითხებზე გადაეტანათ, სადაც ირანისა და ავღანეთის მოვლენების სპეკულაციით შეძლეს ადმინისტრაციის ავტორიტეტის ერთგვარი (როგორც დღეს ირკვევა დროებითი) განმტკიცება, რამაც გამოიწვია კარტერის წარმატებები მთელ რიგ შტატებში. უკანასკნელ ხანს კი ამომრჩეველთა განწყობილებაში (თუ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ უწყებათა მონაცემებით ვიმსჯელებთ), ისახება თვისებრივად ახალი მოვლენა.

ამავე დროს რთულ მოვლენათა ხელოვნური გამარტივება იქნებოდა იმის მტკიცება, თითქოს ამერიკელთა უმრავლესობა გმობდეს ადმინისტრაციის საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

ამ დღეებში „ნიუსუიკი" წერდა, რომ პირველადი არჩევნების დასაწყისში, ჩვეულებრივ, პრობლემები არ ასრულებენ ხოლმე მნიშვნელოვან როლს. ამ ეტაპზე დომინირებენ კანდიდატები და მათი ორგანიზაციები. თუ ავტორიტეტული ჟურნალი არ სცდება, მალე უნდა დადგეს პრობლემათა ჟამი. უკანასკნელთა მრავალფეროვნება და სიუხვე კი ამჯერად უპრეცედენტოა. ვნახოთ რა კვალს დაამჩნევენ ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემები საარჩევნო კამპანიას.

ს. ციცაძე,
„კომუნისტის" პოლიტიკური მიმომხილველი.

ჭადრაკი

პირველი ზღუდე გადალახულია

უდიდესი სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც ნონა გაფრინდაშვილი საერთაშორისო და საკავშირო სარბიელზე, განსაკუთრებით კი ქართველ ხალხში სარგებლობს, ავალებს მას ყველა შეჯიბრებისათვის მზად იყოს, მით უმეტეს, როცა საქმე მსოფლიო პირველობის გვირგვინისთვის ბრძოლას ეხება.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩისათვის მზადება ჯერ კიდევ შარშან ნოემბერში დაიწყო, როცა მოწინააღმდეგის ვინაობა არც კი იყო ცნობილი.

მზადების ერთ-ერთი ძირითადი ეტაპი ქალთა საკავშირო პირველობაზე გამოსვლა იყო. ამ შეჯიბრებაში ნონა გაფრინდაშვილს არა მარტო ზოგიერთი სადებიუტო სისტემა უნდა შეემოწმებინა (ცხადია, ბევრი ჩანაფიქრი, რომლის გამოყენებას ნონა პრეტენდენტთა მატჩისათვის აპირებდა, საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო), არამედ მას გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობაც ჰქონდა, ვინაიდან ბოლო ტურნირებში არც თუ იღბლიანი თამაშის შემდეგ, საკავშირო პირველობაზე კარგ გამოსვლას მისთვის დამაჯერებლობა უნდა შეემატებინა. ნონამ საბოლოოდ II-IV ადგილები გაიყო და მიუხედავად იმისა, რომ ყველა გულშემატკივარი მისგან მხოლოდ პირველ ადგილს ელის, ჩვენ — მისი მწვრთნელები, საერთაშორისო ოსტატი ნ. რაშკოვსკი და ამ სტრიქონების ავტორი, შედეგით კმაყოფილი დავრჩით, რადგან ის ლოკალური ხასიათის მიზნები, რის მიღწევასაც ვესწრაფოდით, მიღწეულად ჩავთვალეთ.

საჭადრაკო „ბუმმა", რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში, განსაკუთრებით ქალთა შორის მიმდინარეობს, საერთაშორისო ასპარეზზე რამდენიმე ძალზე ნიჭიერი წარმომადგენელი გამოიყვანა. ერთ-ერთი მათგანია ნინო გურიელი.

პრეტენდენტთა მეოთხედფინალური მატჩის მოსაგებად 5,5 ქულის მოგროვებაა საკმარისი ათი სათამაშო პარტიიდან და მიუხედავად ძალზე დამაჯერებელი ანგარიშისა 6:3, რომლითაც ნონამ თავისი მეტოქე დაამარცხა, მისთვის, ცხადია, ეს მატჩი იოლი არ ყოფილა. ყველა პროფესიონალმა მოჭადრაკემ იცის, თუ რა დიდი განსხვავებაა რიგით სატურნირო პაექრობასა და მატჩში გამოსვლას შორის. მატჩის დროს თავიდან ბოლომდე ერთ მეტოქეს ხვდები და, შეღავათებზე ფიქრიც კი ზედმეტია. ასეთ დონეზე შეჯიბრების დროს წარმატების მისაღწევად საჭიროა სამი კომპონენტის — თეორიული, ფსიქოლოგიურისა და ფიზიკური მომზადების ოპტიმალური შერწყმა.

ახლა, როცა მეოთხედფინალის შედეგებს ვაჯამებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად ნ. გაფრინდაშვილი ფლობდა სამატჩო სიტუაციას და ასპარეზობამ მისი ნებით ჩაიარა. კერძოდ, შეიძლება დავასახელოთ პირველი, მესამე, მეხუთე, მეექვსე, მერვე და მეცხრე პარტიები. ცხადია, ნ. გურიელსაც ჰქონდა კარგად დამუშავებული სადებიუტო სქემები, რაც განსაკუთრებით მეორე და მეშვიდე პარტიებში ვლინდებოდა, და მიუხედავად იმისა, რომ ნ. გაფრინდაშვილმა მეორე პარტიაში გაიმარჯვა, გადაწყვიტეთ ეს სადებიუტო სქემა აღარ გაემეორებინა.

ვაჟთა საჭადრაკო მატჩების გამოცდილება მსოფლიო პირველობაზე გვასწავლის, რომ ყოველ მატჩში ნათლად იკვეთება ორი მიმართულება — პაექრობა თეთრებით და შავებით, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუ გაფრინდაშვილ-გურიელის ორთაბრძოლაში ცალ-ცალკე გამოვყოფთ თეთრებითა და შავებით ნათამაშებ პარტიებს. ცხრა შეხვედრიდან ნონამ ხუთი ითამაშა თეთრებით და ეს მიკრო მატჩი მოიგო ანგარიშით 3:2, მან დიდ სადებიუტო უპირატესობას მიაღწია პირველ, მესამე და მეცხრე პარტიებში, ოდნავ უკეთესი თამაში ჰქონდა მეხუთე პარტიაში და აშკარად არ გამოუვიდა მეშვიდე პარტია. აქედან ნ. გაფრინდაშვილმა რეალიზაცია გაუკეთა პირველ და მეცხრე პარტიებში მიღწეულ უპირატესობას, ლოგიკურ ფინალამდე ვერ მიიყვანა მესამე პარტია, ასევე ვერ გაზარდა მეხუთე პარტიის მიტელშპილში მიღებული უპირატესობა, ორივე ეს შეხვედრა ყაიმით დასრულდა, ხოლო მეშვიდეში დამარცხდა.

მეშვიდე და მეოთხე პარტიებში ნ. გურიელმა თავისი საუკეთესო საჭადრაკო თვისებები გამოავლინა. ინიციატივიან თამაშში მისი ნიჭიერება გაცილებით უფრო თვალსაჩინო იყო. თეთრებით თამაშის დროს ნონას არ ჰქონია სერიოზული პრობლემები, მიუხედავად ანგარიშში მიღწეული მცირე უპირატესობისა, იგი თამამად მიჰყვებოდა იმ სადებიუტო სქემებს (ჰოლანდიური, ინგლისური და უფმსტვის დაცვა), რომელსაც მოწინააღმდეგე სთავაზობდა. გაცილებით უფრო ძნელია სამატჩო ტაქტიკის შემუშავება შავებით თამაშის დროს. მსოფლიოს ექსჩემპიონი აქ ძირითადად ისეთ დებიუტებს მიმართავდა, რომელიც მისი მეტოქისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამ ტაქტიკამ სავსებით გაამართლა, ოთხ ნათამაშევ პარტიაში ნონამ სამი გამარჯვება მოიპოვა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა.

ნ. გაფრინდაშვილის შემოქმედებით წარმატებად უნდა ჩაითვალოს პირველ, მერვე და მეცხრე პარტიებში მიღწეული გამარჯვება, ცალკე აღნიშვნის ღირსია ზუსტად წარმართული ენდშპილი მეექვსე პარტიაში. პარტიის გადადების წინ რამდენიმე უზუსტობა რომ არა, მესამე პარტიაც მათ რიცხვში მოხვდებოდა. ნ. გურიელმა კარგად წარმართა მეოთხე და მეშვიდე პარტიები და ასევე კარგად გაართვა თავი მეხუთე პარტიაში წამოჭრილ სიძნელეებს.

რამდენიმე სიტყვა მატჩის ტექნიკურ მხარეზე. ორთაბრძოლა მიმდინარეობდა თბილისში, ჭადრაკის სასახლეში. ნ. გურიელის სეკუნდანტი იყო სპორტის ოსტატი ი. ჩიქოვანი, მწვრთნელი საერთაშორისო ოსტატი ი. ანიკაევი, ნ. გაფრინდაშვილს ამ სტრიქონების ავტორი უწევდა სეკუნდანტობას, მწვრთნელის მოვალეობას ასრულებდა საერთაშორისო ოსტატი ნ. რაშკოვსკი, რომელთან თანამშრომლობამ ნონას დიდი დახმარება გაუწია. ასპარეზობას მსაჯობდნენ საერთაშორისო არბიტრები ლ. აბრამოვი (მოსკოვი) და კ. ზვორიკინა (მინსკი).

მეოთხედფინალში ასეთი დამაჯერებელი გამარჯვება ექსჩემპიონის მომავალი უშეღავათო ბრძოლების კარგი განაცხადია.

ე. უბილავა,
საერთაშორისო ოსტატი.

გ. გველესიანი

ქართულმა გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა — 76 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი, სკკპ წევრი 1946 წლიდან გიორგი გრიგოლის ძე **გველესიანი**.

გ. გველესიანი დაიბადა 1903 წელს ქუთაისში, 1921 წელს დაამთავრა ქართული გიმნაზია, ხოლო 1929 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. დიდხანს მუშაობდა უმაღლეს სამეურნეო ორგანოებში, სადაც მონაწილეობდა მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო პრობლემების დამუშავებაში. 1948-1953 წლებში იგი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწე იყო, რასაც ჩინებულად უთავსებდა მეცნიერულ მუშაობას.

გ. გველესიანის მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება იყო საწარმოო ძალთა განვითარება-განლაგების პრობლემების დამუშავება. ამ საკითხებს მან მიუძღვნა ორი მონოგრაფია, 150-მდე სამეცნიერო სტატია და მოხსენება.

გ. გველესიანის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია, რომლებიც მიეძღვნა რესპუბლიკის რეგიონალური შესწავლის, საქართველოს და ამიერკავკასიის საწარმოო ძალების განვითარება-განლაგების, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების გეოგრაფიის, სამრეწველო კვანძების ფორმირების აქტუალურ საკითხებს. მისი შრომები, განსაკუთრებით მონოგრაფიები „სოციალისტური წარმოების განლაგების საფუძვლები" (1961) და „სოციალისტური წარმოების განვითარება და განლაგება საქართველოში" (1965), მარტო ეკონომიკური გეოგრაფიის მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი როდია. მათმა გამოქვეყნებამ ხელი შეუწყო რესპუბლიკაში ახალი ეკონომიკური მეცნიერების — რეგიონალური ეკონომიკის შექმნას.

გ. გველესიანმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული გეოგრაფიული ატლასის შექმნაში: დაამუშავა სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის რუკები. ამ სამუშაოსათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება.

გამოჩენილი მეცნიერი და შესანიშნავი მოქალაქე, უმწიკვლო და პრინციპული კომუნისტი, თავმდაბალი, გულისხმიერი ადამიანი გ. გველესიანი მარად ეხსომებათ მის კოლეგებსა და მეგობრებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილება; ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი; საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოება; საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტი.

მოკლედ

ყოველი მხრიდან

1 აპრილი

□ **ბელგრადი.** იუგოსლავიის მაჩინსკა-მიტროვიცის გემთსაშენ „სავაში" წყალში ჩაუშვეს გემი „დნეპრი", რომელიც აგებულია საბჭოთა კავშირის შეკვეთით. იგი მომსახურებას გაუწევს ნავთობისა და გაზის დაზვერვაზე მომუშავე მცურავ საბურღავ პლატფორმებს. მომავალში „სავა" კიდევ სამ გემს ააგებს სსრ კავშირისათვის.

□ **მადრიდი.** 80.000 კაცით გაიზარდა მიმდინარე წლის პირველ სამ თვეში უმუშევრობა ესპანეთში, იუწყება ბილბაოს ბანკი. ამჟამად იგი მოიცავს 1 მილიონ 884 ათას ესპანელს. ეს ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლეობის 10-14 პროცენტს შეადგენს.

□ **ტრიპოლი.** ამერიკის — სი-ბი-ეს ტელეკომპანიისათვის მიცემულ ინტერვიუში ლიბიის რევოლუციის ლიდერმა მ. კადაფიმ მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების ხრიკები ირანელი ხალხის წინააღმდეგ. ლიბია, ხაზი გაუსვა მან, გამოდის ირანის მახლობლად ამერიკის სამხედრო ყოფნის გაძლიერებისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტის კონცენტრაციის წინააღმდეგ, ამასთან მიაჩნია, რომ ეს მოქმედება უშუალო აგრესიის მომზადებაა ირანის რევოლუციის წინააღმდეგ.

მ. კადაფი შეეხო ავღანეთის ამბებს და განაცხადა, რომ ლიბია მხარს უჭერს ხალხთა უფლებას თვითონ განსაზღვრონ საკუთარი ბედი და პოლიტიკა. იგი მხარს უჭერს ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ მთავრობას, რომელიც თვითონ წყვეტს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს.

პრეტენდენტთა მატჩების თაობაზე

პრეტენზია გამართლებულია

მარტი გაზაფხულის პირველი თვეა. ლამაზია ამ დროს კისლოვოდსკი. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული ათასობით მშრომელი ისვენებს ამ ქალაქში. აქ გატკბობთ თვალწარმტაცი ბუნების გამოღვიძება, სუფთა მთის ჰაერი, შეგიძლიათ საკუთარ თავზე გამოსცადოთ განთქმული ნარზანის წყაროების მაცოცხლებელი ძალა. მაგრამ მე იმ ადამიანებისაც მესმის, რომლებიც თავს იყრიდნენ კისლოვოდსკის ფილარმონიის დარბაზში, სადაც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს ხვდებოდნენ საერთაშორისო დიდოსტატები ელენე ახმილოვსკაია და ნანა ალექსანდრია. ბევრს იზიდავდა კონტრასტი სადემონსტრაციო დაფებზე შეუპოვარ სპორტულ ბრძოლასა და ამ ნაზ ასულებს შორის, რომლებიც ყვავილებით მორთულ სცენაზე ისხდნენ. ბრძოლა მართლაც რომ შეუპოვარი იყო, ამის დასტური თუნდაც ის გახლავთ, რომ ორივე მოწინააღმდეგემ მთლიანად გამოიყენა ტაიმაუტების უფლება.

შეჯიბრების დაწყებამდე ვერავინ იტყოდა, რომელი უფრო ძლიერი იყო მეტოქეთა შორის. ორივე მოჭადრაკეს უკანასკნელი წლების მანძილზე სტაბილურად კარგი შედეგები აქვს ყველაზე პასუხსაგებ შეჯიბრებებში. მაგალითად, საერთაშორისო ტურნირებში უფრო მაღალი შეფასება შეიძლება მივცეთ ე. ახმილოვსკაიას, რომელმაც 1979 წელს ესპანეთის ქალაქ ალიკანტეს საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა, სსრ კავშირის უკანასკნელ ჩემპიონატში კი, რომელიც თბილისში გაიმართა, უფრო წარმატებით გამოვიდა ნ. ალექსანდრია, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ასეთი მაღალი დონის მატჩის შედეგი ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, შეძლებ თუ არა თავს მოახვიო მოწინააღმდეგეს ბრძოლის ისეთი ყაიდა, რომელიც შენთვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მოწინააღმდეგისათვის. სწორედ ამ თვალსაზრისით ემზადებოდნენ მატჩისათვის დიდოსტატები. ისინი ამუშავებდნენ ახალ სადებიუტო სქემებს, განსაზღვრავდნენ სასურველ პოზიციებს, სტრატეგიულ ხერხებს...

ორთაბრძოლის მსვლელობაში გამოირკვა, რომ თავის ამოცანას უკეთ გაართვა თავი ნანა ალექსანდრიამ. იგი უფრო ხშირად იკავებდა ინიციატივიან პოზიციებს, რომლებშიც ნათლად ვლინდებოდა მისი ტაქტიკური ნიჭი. ამის დასტურად გამოდგება მატჩის მეხუთე და, განსაკუთრებით, მეექვსე პარტიები. ე. ახმილოვსკაიას სამატჩო ტაქტიკას მოლოდინის ტაქტიკა შეიძლება ვუწოდოთ. იგი მშვიდ, „მოსაწყენ" პოზიციებს ირჩევდა და სულ იმის იმედი ჰქონდა, რომ ქართველი მოჭადრაკე რაიმე გაუმართლებელ რისკს გასწევდა. მაგრამ ნანა ალექსანდრია მეტწილ პარტიებში (გამონაკლისია მატჩის მესამე პარტია) ცხადყოფდა შესაშურ სიმტკიცესა და გამძლეობას. პარტიები ძალზე დაძაბული იყო. შვიდი მათგანი გადაიდო, და მაშასადამე, პარტიის წინ მეტოქეებს გაანალიზების საშუალება ჰქონდათ. დიდი დატვირთვით მუშაობდნენ მეტოქეთა კონსულტანტები.

საგულისხმოა მინიმალური უპირატესობის ტექნიკური რეალიზაცია პირველ პარტიაში, საინტერესო დაცვა მეორე და მერვე პარტიებში. ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა პირველი პარტია — გაგრძელდა 77 სვლა. ცაიტნოტის უსიამოვნებანი მეტოქეებს მხოლოდ ორ პარტიაში ჰქონდათ, რაც მოსაფიქრებლად დროის რაციონალურ გამოყენებას მოწმობს. შედეგიანი იყო ოთხი პარტია. სამი პარტია მოიგო ნ. ალექსანდრიამ, ერთი — ე. ახმილოვსკაიამ.

მატჩის საერთო შედეგი სწორად ასახავს სპორტული ბრძოლის მიმდინარეობას და ნანა ალექსანდრიას გამარჯვება ანგარიშით 5,5:3,5 დამსახურებულად უნდა მივიჩნიოთ.

გამარჯვებულის თამაშის ხარისხის გაანალიზებისას სამართლიანად უნდა ვაღიაროთ ნიჭიერი ქართველი მოჭადრაკის პრეტენზიები მსოფლიო პირველობაზე.

მინდა აღვნიშნო აგრეთვე გამოცდილი არბიტრების — ტალინელი ლ. ვახესაარისა და მოსკოველი ბ. პოსტოვსკის მსაჯობა. მათი წყალობით იქმნებოდა კეთილი მეტოქეობის ვითარება. მონაწილეებს ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებდნენ კისლოვოდსკის პარტიული და საბჭოთა ორგანოები, მატჩის საორგანიზაციო კომიტეტი, რომლებმაც კარგი პირობები შექმნეს შეჯიბრებისათვის.

ისღა დაგვრჩენია, ახალი წარმატებანი ვუსურვოთ ნანა ალექსანდრიას საბჭოთა სპორტის სადიდებლად.

ს. პალატნიკი,
საერთაშორისო დიდოსტატი.

სატურნირო ორბიტა

რეგბი. საქართველოს თასის გათამაშების ფინალური მატჩი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა მოუგო ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს (8:7) და თასს დაეუფლა.

ჭადრაკი. ბად-ლაუტერბერგში უნდა გამართულიყო პრეტენდენტთა მატჩის მერვე პარტია, მაგრამ იგი უნგრელ ანდრაშ ადორიანის თხოვნით გადატანილია. ანგარიშია კვლავ 4:3 რობერტ ჰიუბნერის (გფრ) სასარგებლოდ.

ბაქოში დაიწყო ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძეც ასპარეზობს. თბილისელი ვაჟებიდან ამ შეჯიბრებაში თამაშობს ედუარდ გუფელდი. პირველ ტურში ჩიბურდანიძე-ტორეს პარტია არ შემდგარა, გუფელდმა კი ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ს. გარსიასთან.

კალათბურთი. აფრიკის მეათე ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვა სენეგალის ვაჟთა ნაკრებმა. ამ გამარჯვებით სენეგალელებმა მოსკოვის ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ჭიდაობა. გუშინ რედაქციაში სასიხარულო ცნობა მივიღეთ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვების ჭიდაობის სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა საკავშირო ასპარეზობებში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. გომელში კლასიკური სტილის მოჭიდავეებმა გუნდური I ადგილი და თასი დაისაკუთრეს. ჩემპიონები გახდნენ გ. ბიწაძე (56 კგ), ა. ჯიქია (65), ზ. სულუხია (76), გ. ლალიაშვილი (81) და გ. შპეტიშვილი (87); ნალჩიკში — თავისუფალი სტილის მოჭიდავეებსაც გუნდური I ადგილი და თასი ერგოთ. ჩემპიონობა მოიპოვეს გ. სალთხუციშვილმა (45) და დ. ბეთაძემ (48). მეორე ადგილებზე გავიდნენ ა. წიკლაური (75) და კ. ლომიძე (81 კგ); ყარაგანდაში — ძიუდოისტებმა გუნდური II ადგილი დაიკავეს. ჩემპიონები არიან რ. გოჯიაშვილი (83) და რ. ძიძიშვილი (მძიმე წონა). მეორე ადგილზე გავიდა გ. მაჭარაშვილი (75). მესამე ადგილები წილად ხვდათ გ. კუთხაშვილს (57), ე. ტუღაევს (62) და მ. მოდებაძეს (75 კგ).

„საბჭოთა ხელოვნება" № 3

გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნების" მორიგი, მესამე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. შევარდნაძის სიტყვა — კინოხელოვნების ახალი აღმავლობისათვის, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობისა და კინოსტუდია „ქართული ფილმის" სამხატვრო საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე.

ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავს ეძღვნება მ. ულიანოვის წერილი — ლენინის სახე.

სსრ კავშირის სახალხო არტისტის დიმიტრი ალექსიძის დაბადების 70-ე წლისთავისადმია მიძღვნილი სარედაქციო წერილი — დიმიტრი ალექსიძე, ნ. ვოლინას წერილი — „კურსი მიჰყავს დიმიტრი ალექსიძეს".

რუბრიკით „გავუფრთხილდეთ ბუნებას" გამოქვეყნებულია ა. გეგეჭკორის წერილი — დიდმანის მწვანე სამკაული.

ჟურნალის ახალ ნომერში მკითხველი გაეცნობა წერილებს თეატრის, მუსიკის, მხატვრობის, არქიტექტურის და კინოს შესახებ.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.



14, 15, 16, 17, 18, 19, 20 აპრილს
სპორტის სასახლეში
გასტროლებს იწყებენ სოციალისტური ქვეყნების ესტრადის ვარსკვლავები.

საერთაშორისო საესტრადო პროგრამა
„მეგობრობის მელოდიები-80"

მონაწილეობენ: ანნა ვერბოვა (ბულგარეთი); ტრიო — „დები კაუფნერები" (გდრ); მირტა მედინა (კუბა); პაულინა იონესკუ (რუმინეთი); ხანნა ბეშნიკოვა, მიროსლავ ლიჩკო (ჩეხოსლოვაკია); დანზანვაანჩინგინი (მონღოლეთი); ბოიან კოდრიჩი (იუგოსლავია); ვალერი ობოძინსკი, მიოლე შიუკაიტე (სსრკ).

ვოკალური ანსამბლი „რუსული სიმღერა" (სსრკ).

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „საესტრადო მელოდიები" (მხატვრული ხელმძღვანელი — ლიტვის სსრ დამსახურებული მოღვაწე ი. ტისკუსი).

ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი („ექსპრესი" (უნგრეთი).

კონცერტი მიჰყავთ ლიდია კუდრიავცევას და დიმიტრი გოლუბინს.
დამდგმელი რეჟისორი — რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბორის ბრუნოვი.

კონცერტების დასაწყისი — 14, 15, 16, 17, 18 აპრილს საღ. 20 საათზე, 19 და 20 აპრილს — 16 და 20 საათზე.

ბილეთები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში 7 აპრილიდან.

მიიღება ბილეთების შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე 8 აპრილის ჩათვლით.

ტელევიზია

2 აპრილი

თბილისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 17.30 — აბიტურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 18.00 — განცხადებები (ფ.), 18.05 — შევისწავლოთ გერმანული ენა (ფ.), 18.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.55 — მოსწავლეთათვის — „იქნებ აქედან იწყება" (განმეორებით. ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მომბე" (ფ.), 20.30 — „მოქალაქე, საზოგადოება, კანონი", 21.05 — „დაუკარ, ჩემო ჩონგურო" — ანზორ გელაშვილი (ფ.). 21.30 — „სპორტული მიმოხილვა" (ფ.), 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირში უნგრეთის კულტურის დღეების გახსნა. იძღვნება ფაშისტ დამპყრობთაგან უნგრეთის განთავისუფლების 35-ე წლისთავს. კონცერტი. გადმოცემა კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს ახალი ამბები (ფ.).

მეორე პროგრამით: 15.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 16.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა (ფ.), 16.45 — „ჩვენს დიად სამშობლოში". დოკუმენტური ფილმები: „იქ, სადაც ვოლგა ოკას უერთდება"; „ტბიდან ზღვამდე" (ფ.), 17.35 — სტუდენტებისათვის — მასალათა გამძლეობა (ფ.), 18.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამედ ვურღუნი", 18.45 — მასწავლებლის საათი — ბიოლოგია (ფ.), 19.15 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „პირველი კონცერტი" (ფ.).

მოსკოვი

მეოთხე პროგრამით: 20.00 — ჰოკეი. ცსკა-ლენინგრადის სკა. შესვენებაში (20.40) — „ძილი ნებისა, პატარებო!", 22.00 — კონცერტი. ნ. კ. მეტნერის ნაწარმოებები. 22.40 — მხატვრული ფილმი „სამაჯური-2".

თეატრი

2 აპრილი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ჭრუჭაბური** (სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტების გალინა კალინინისა და ზურაბ სოტკილავას გასტროლები); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი**; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **გუდი მეცხრე სართულზე**; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ლამარა**; მეგების თეატრი — **დონ ჟუანი** (პრემიერა).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველო და „საქხახმშატმშენის" ტრესტი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის სარაიონთაშორისო კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი

ვახტანგ პავლეს ძე ჩაკვეტაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„საქჰიდროენერგომშენის" ტრესტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მუშაკი, სკკპ წევრი 1928 წლიდან, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი

გიორგი ერმალოზის ძე ალავიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უი 07743 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში. ხოშარაულის 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20